

# დამოუკიდებელი საქართველო



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

### შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ეროვნული მოძრაობა საბჭ. კავშირში  
 ივ. ზ—ლი—გაზეთი საბჭოთა საქართველოში.  
 სან-მანი—კავკასიის პრობლემა.  
 რ. ინგილა—თავისუფლების თავდებობა.  
 თურქეთი და კავკასია.  
 —რი—პირველი ქარ. პროფ. ვარშავის უნივერ.

თურქეთის ცხოვრება.  
 სპარსეთი.  
 თურქესტანი.  
 საქართველოს ამბები.  
 უკრაინელთა შორის.  
 «დამ. საქ.» სარჩევი 1933 წლისთვის.

### მოსკოვში მოძრაობა საბჭოთა კავშირში

მოსკოვის პრესა დიდ ადგილს უთმობს ამ უკანასკნელათ უკრაინის ეროვნულ მოძრაობას და ჩამოთვლის ყველა მის ცოდვეს. არ არის ისეთი კუთხე, დარგი, დაწესებულება, პარტიული უჯრედი, სადაც ნაციონალისტებს არ მოეკალათებინათ ან არ ეცადათ მოკალათებო—განგაშს უკრავენ საბჭოთა შინაყმები. მართლაც, თუ მათ დაუუჯერებთ—და საბუთიც არა გვაქვს არ დაუუჯეროთ—, უკრაინის კოლხონები, კოლპერატივები, სკოლები, სამეცნიერო აკადემია და სხვები ნამდვილ ხიფათში ჩავარდნილან ნაციონალისტების შემოსევით. სახელმწიფო დაწესებულებებში ხალხი მხოლოდ იმაზე ფიქრობს რაც შეიძლება ჩქარა გადავაგდოთ მოსკოვითების ბატონობა და უკრაინა მათგან დამოუკიდებელი გავხადოთ. პარტიული ორგანიზაციები რაა, აქაც ვგრ. წოდ. კომუნისტები ნამდვილი შოვინიზმით არიან გაჟღენთილი. თვით პარტიის სათავეში მდგომი, ლენინის მეგობარი სკრიპნიკი დალატობდა «პროლეტარიატს» და გერმანიის ანექსიონისტებთან ჰქონდა საქმე. სკრიპნიკის უეცარი სიკვდილი სიბნელით არის მოცული, არავინ იცის მოკვდა, თავი მოიკლა, თუ მოჰკლეს. უკანასკნელი ვერსია იმასაც კი გვამცნევს, რომ ის შეიჭრა კრემლში სტალინის მოსაკლავათ. ხოლო დაასწრეს და თვითონ მოკლეს.

მოსკოვის პრესას გამოძახილი აქვს ევროპის პრესაშიც, ხოლო რუსის ემიგრაციის განსაკუთრებ-

ბული ყურადღება მისცენაა მიქცეული. მილიუკოვმა ისიც კი დანახა საჭიროთ, რომ საგანგებოთ ლონდონს სწვოდა და იქ წაეკითხა დიდი მოხსენება ამ საგანზე ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეთა თანდასწრებით. რასაკვირველია, მისი გაზეთის კორესპონდენტი ცალმხრივით გადასცემს მკითხველს, ვითომ მილიუკოვის დებულებები ძალიან მოწონებოდესთ მსმენელთ, -პირიქით, მათ გაიკვირვეს, რომ ეს მსცოვანი პროფესორი არ დადლილა ძველი ლათაიების განმეორებით, რომ უკრაინა პოლონეთის, გერმანიის და კიდევ ვინ იცის ვისი მოგონილია. ჩვენ ვფიქრობთ, მილიუკოვს ისიც ავიწყდება, საჭიროების მიხედვით, რაც თვითონ უმტკიცებია, მაგ. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მემარჯვენებისათვის, რომ უკრაინა არის ერი თავისი ენით, მწერლობით, წარსულით, ტრადიციებით.

რაც შეეხება ევროპას, აქ მართლა ნაკლებ იცნობდენ უკრაინას, ფართე მასისთვის მისი სახელიც უცხო იყო. მაგრამ აქ მტერიც კი დაეხმარა უკრაინას, რომ ის ეწამათ, როგორც ერი, დიდი სახელმწიფო და, მაშასადამე, მომავლის მქონე. ბოლშევიკების პოლიტიკამ ჩვენ დაგვაჯერა ამაშიო—ხშირათ გაიგონებთ ამ სიტყვებს ევროპელებისგან. ამიტომ, რაც მეტს გაჰკვირვან მოსკოვითები უკრაინის ნაციონალიზმზე, მით უფრო მეტ რწმენას უნერგავენ უცხოელთ მის გამარჯვებაში. ასევე დემართა მილიუკოვს ლონდონში: მისი ჭაპან-წყვეტა უკრაინის წინა-

მხედვ, უკანასკნელის სასარგებლოთ გათავდა! საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ, როცა ერთმა ინგლისელმა საქართველოს უფლებზე ჩამოაგდო ლაპარაკი, მილიუტოვმა კონტრიც არ დაძრა, შეეშინდა შეკამათების...

ამ რიგათ, «ერთი და განუყოფელი რუსეთი» სულაც არ არის დღეს ევროპაში ისეთი ქვეშაობრივობა, როგორადაც წარმოუდგენიათ რუსის ემიგრანტებს, განურჩევლათ რწმენისა. რუსებს კიდევ იმით გაუტყდათ სახელი, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან ბოლშევიკებისაგან, როცა კითხვა ეხება საგარეო პოლიტიკას. მილიუტოვი ისე შორსაც კი მიდის, რომ აცხადებს: რუსეთის ყოველი სხვა მთავრობა ისე მოიქცეოდა საგარეო საქმეებში, როგორც სტალინის მთავრობა.

ეს სრული სიმართლეა და სწორეთ ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ სტალინი განაგრძობს რომანოვების დამპყრობ პოლიტიკას და ამასვე იქმენ მილიუტოვები, თუ დრო იხელთეს. ასე ყოფილა წინეთ, ასე იქნება მომავალშიც: დამპყრობი ერთ თავის ნებით არ გაუშვებს დაპყრობილ ერს, უკანასკნელი იძულებულია ბრძოლით მოიპოვოს თავისუფლება.

ამიტომ ახმაურდა მოსკოვის პრესაც, სტალინმა მას უბრძანა ყველაფერი პიტლერის გერმანიის მიაწერე, უკრაინა მან გამოიგონაო. წინეთ ეს ბრალდება ვრცელდებოდა პოლონეთზე, საფრანგეთზე, ინგლისზე. მაგრამ რა უყოს სტალინმა მის მიერ გამოგონილ სიტყვებს: საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს? მან წაშალა რუსეთი, როგორც საერთო სახელი, გახადა ის ნაწილად კავშირისა სხვა რესპუბლიკათა გვერდით და, როცა დღეს ევროპა იჯერებს ამას, ის «ერთ და განუყოფელ რუსეთის» აღდგენას ლამობს!

რა დარჩა 1923 წლის კავშირის კონსტიტუციიდან? არაფერი, გარდა სიტყვებისა. სახელმწიფოს ყველა ფუნქციები, ყველა დარგები, ყველა უფლებები მოსკოვზეა დამოკიდებული. ცალკე რესპუბლიკათ და მათ მოქალაქეთ მხოლოდ იმდენათ შეუძლიათ იბოგინონ, რამდენათ ასრულებენ მოსკოვის ბრძანებას. ბოლშევიკებს მაინც ყოფნით გამბედაობა დაიკვებონ, რომ მათ გადასჭრეს ეროვნული კითხვა და ეროვნული ჩაგვრა მოსპეს!

ისე სჯერათ ეწლა ეს უცხოეთში, როგორც «სოციალიზმის განხორციელება». ამიტომ ეკვრიან მოსკოვს ერთნი პაქტებით, მეორენი სავაჭრო შეთანხმებით, მესამენი ცნობით, რითაც თვითუფლები იმის ცდაშია რამე წაგლიჯოს მას. მაგრამ იმავე დროს უკანაც იხედებიან, თითქო გრძობენ რეჟიმის ლი-

კვიდაციის მოახლოებას და ცდილობენ სხვა ძალებსაც დაემყარონ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეროვნული მოძრაობა მთელი კავშირის მასშტაბში. როცა უკრაინაზე ასე უხშირებენ ლაპარაკს, ეს იმის მომასწავებელია, რომ კავკასიის მომავალში არ ექვობენ, ის თავის თავთ მოწყდება რუსეთს, თუ უკრაინამ თავი დაიძვრინა მისგან. იგივეა თურქესტანის ბედიც, თუ საბჭოთა მდგომარეობა შეირყა შინაურ თუ კიდევ უფრო გარეშე მიზეზებით. სწორეთ იმ დროს, როცა მოსკოვი დღესასწაულობს «დიდ მიღწევებს» საგარეო პოლიტიკაში, უცხოელნიშის შინაგან სისუსტეს უსობენ ხაზს.

აქედან ცხადია, რა დიდი ნაბიჯი გადაუდგამთ წინ არარუს ერებს თავის მისწრაფებათა გავრცელებაში სახლგარ გარეთ. თუ წინეთ, უცხოეთის ყურადღების მისაქცევათ, საჭირო იყო ფართე ხალხური მოძრაობა, თვით აჯანყებაც, დღეს საკმარისია მტკიცე ნებისყოფა და მორალი, რომელიც შეუმჩნეველი ვერ დარჩება. ისე, როგორც მოსკოვმა ვერ დამალა, მიუხედავათ გეპეუს დიდი ცდისა, შიმშილი, ის ვერ მალავს ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლას მის წინააღმდეგ. ჩვენ გვაგონდება ერთი უცხოელის შენიშვნა: მე გავიარე საქართველო რკინის გზით, დავეყვი ერთი დღე ტფილისში და ძალიან გამაკვირვა ქართველების უსიტყვეო, მაგრამ ამყმა გამოხედულელებამ მთავარ ქუჩაზედო. და აქედან დასკვნაც თვითონ გააკეთა: ეს ერი, ეტყობა, თავს დამარცხებულად არა გრძობსო.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე უმთავრესია არა ის, რასაც სხვები ამჩნევენ, ~~ამედ~~ ის, რა ვართ ჩვენ თვითონ, რას ვაკეთებთ. წინდაწინ განწირულია ის ერი, ვინც სხვისგან მოელის ხსნას და პასიურათ შესცქერის დროთა ბრუნვას. ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება მხოლოდ-იმ ერს შეუძლია გამოიყენოს, ვინც აქტიურია და პოლიტიკურათ დარაზმული. ამისათვის დღეს შეიძლება ერთი მეთოდი მოიმარჯვო, ხვალ—მეორე, თავი და თავი ისაა, რომ მტერმა ვერ შესძლოს ერის ფიზიკური და მორალური გატეხვა, უკრაინის მაგალითიდან ვხედავთ, რომ პატრიოტებს, პირიქით, მტრის ცინე სიმაგრე შეუნგრევიათ, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციები თავის სამოქმედო ასპარეზად უქცევიათ.

ავიღოთ მართლ კომუნისტური პარტია, ამ ქამად მისი წევრობა ერთგვარ პრივილეგიად გამხდარა, უმრავლესობისთვის კი საარსებო პირობად ქცეულა. აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: პარტბილეთის პქონა არ წარმოადგენს კიდევ და-



ლატს, შეიძლება ზოგნი იძულებით გამხდარიან პარტიის წევრი, ხოლო გულში არ გაქპრობიან ეროვნული ცეცხლი. ასევეა კომსომოლებშიც, ხოლო რაც შეეხება კოლხელებს, მათი ძალაო წარმომოება ხომ ყველამ ვიცით, და ამიტომ იქ მომწყვდეული გლესობა დაუშრეტელი წყაროა ახალ-ახალ საბრძოლველ წყობების შესაქმნელათ.

მტერი თვითონ ჰქმნის თავის ბნელ მიზნების მისაღწევათ ვეება სახელმწიფო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მის და უნებურათ ერთმანეთს აცნობს, აახლოებს, აკავშირებს სხვადასხვა წრის და მიდრეკილების ხალხს. მით უფრო მაღლიანია და ნაყოფიერი ამ ორგანიზაციებში მუშაობა, გაველენის მოპოება. დადგა დრო, როცა უფრო მიზანშეწონილია ამ ორგანიზაციებში შიდ და არა გარეთ ყოფნა, სხვა არ იყოს რა გარეთ უფრო შეგამჩნევს გეპეუ, ვინემ შიგნით, და მთლათ მოგწყვეტს ხალხს. უჩინარი, მაგრამ მეთოდური მუშაობა მტრის პოზიციების ასაღებათ — აი რას გვიკარნახებს მომენტი.

ჩვენა ვსთქვით, რომ მტერმა მოსო ცალკე რესპუბლიკათა ძალაუფლებანი და სამაგიეროთ ყველანი და ყველაფერი ცენტრს დაუქვემდებარა. ასეთი ცენტრალიზაცია ბევრ დამლუბველ შედეგებთან ერთათ ხელს უწყობს ჩავრულ ერთა დაახლოებას, მათი ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით გამსკვალვას და აქედან მათი ბრძოლის მეთოდების შეგუებას და ერთათ გამოსვლას საჭირო ეამს. მებრძოლი ეროვნული ორგანიზაციები სრულიად შეგნებულათ უნდა ემსახურებოდენ ამ მიზანს.

მაგრამ ჩვენთვის პირველ რიგხედ, რა თქმა უნდა, ისევ კავკასიის ერთა მწყობრი დარაზნვა სდგას. ჩვენ

არ ვიცით, რამდენათ წინა ვართ ამ მხრივ, ვართ თუ არა წინ, არის თუ არა საქმაოთ გავრცელებული ფართე მასებში კავკასიის ერთა სოლიდარობის, მეგობრობის, მათი მომავალი კონფედერაციის იდეები. ყოველ შემთხვევაში, ეს არაა ჯერ ისე ცნობილი ევროპის საზოგადო აზრისთვის, როგორც ჩვენ დავინახეთ უკრაინაზე. ჩვენ გვიხარია უკანასკნელის პოპულიარიზაცია უცხოეთში, ეს თვით ჩვენი ინტერესია, მაგრამ ეს უნდა გახდეს ერთგვარი მუჯლუგინი კავკასიელთათვის, რომ თავისი მთლიანი ფიზიონომია დაანახვენ უცხოეთს, შეაგნებინონ აუცილებელი ერთობა კავკასიისა, მისი თავისუფლება და ფრიად სასარგებლო წვერად შესვლა საერთაშორისო ოჯახში, საყოველთაო მშვიდობიანობის და წინსვლის უზრუნველსაყოფელათ.

სტალინი ილაშქრებს არარუს ერებზე, განადგურებით ემუქრება მათ, შიმშილით ამოწყვეტით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ გვიანა, ის ვერ შესძლებს ძველი რუსეთის გამრთელებას, მის მიერ ცბიერათ შექმნილ რესპუბლიკების სახელის წაშლას. ერნი, იმის გარდა, რომ თვითონ შექმნეს ნამდვილი და არა აჩრდილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და მიისწრაფიან მათ აღდგენისაკენ, მარჯვეთ იყენებენ მოსკოვის ცალიერ ფორმულებს და შიდ შინაარსი შეაქვთ: სახელმწიფო უზენაესობა.

ეროვნული მოძრაობა უკვე იქცა ისეთ დიდმნიშვნელოვან ფაქტორად საბჭოთა კავშირში, რომ მისი ძლევა ადემატება კრემლის ძალ-ღონეს; მან გადალახა ჩინური კედლებიც და უცხოეთი იწყებს ნათლათ გარჩევას რუსის ერის არარუს ერთაგან.

**გაზეთი საზოგადოება საქართველოში**

ამას წინად ხელში ჩაგვივარდა ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გაზეთების კოლექცია, — «ზარია ვასტოკა», «ბატუმსკი რაბოჩი» და «სოვეტსკაია აფხაზია».

გულდასმით გადავიკითხეთ სამივე გაზეთის ყველა ნომრები და... მწარე გრძობამ მოიცვა ისედაც გამწარებული გული და მწარე აზრებმა — გონება, როდესაც წარმოვიდგინეთ, რომ ასეთის ლიტერატურით იკვებება კომუნისტურ სამოთხეში მომწყვდეული საბრძოლო ჩვენი ერი, რომ ასეთია მისი გონების ერთადერთი ყოველდღიური საზრდო.

ესპანეთში ამას წინად გამართულ ბეჭდვითი სიტყვის კონფერენციაზე საბჭოთა წარმომადგენელმა ბ.მა როზენბერგმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მთელი ევროპული პრესაა მოწურად მოწათლა, ხოლო თავისუფალ და დამოუკიდებლად — ბოლშევიკური.

ქვემარტად, ენას ძვალი არ აქვს და ყველაფერს იტყვის.

ყველაზე თავისუფალი ჩვენი პრესაა, ამბობს იმ უსაზღვრო ქვეყნის წარმომადგენელი, სადაც ერთის ნებისა და კანონის, ან უფრო სამართლიანად რომ ვსთქვათ, თვითნებობისა და უკანონობის ქვეშ არის მოქცეული სხვადასხვა ტომის და ენის, ჯურის და რჯულის, სხვადასხვა ზნის, ნიჭის, წარსულის და ამიტომ სხვადასხვა განვითარების მრავალი ერი, და სადაც ყველა ამის და მიუხედავად არ ისტამბება არცერთ სხვა მიმართულების ყურნალი და გაზეთი, თუ არა კომუნისტური, სადაც სხვა ქვეყნის ყურნალ-გაზეთისათვის დახშულია კარი და საბჭოთა მოქალაქე მას თვლით ვერ ხედავს.

თავისუფალი პრესა!.. ვაი ასეთს თავისუფლებას, და საბრძოლო ერი, რომელიც ასეთის თავისუფლების მსხვერპლი გამხდარა.

რა დიქტატორია ის დიქტატორი, რომელიც საზოგადოებრივ აზრის დამორჩილებასა და დამონებას არ სცდილობს. მაგრამ დიდი განსხვავებაა ძველს



თვითმპყრობელობასა და დღევანდელ მოსკოველ დიქტატურას შუა.

პირველი ის, რომ ძველი თვითმპყრობელი ვერ ბედავდა იმ ასპარეზებთან დევნას თავისუფალის აზრისა, რომელსაც დღევანდელ ბოლშევიკეთში ვხვდებით.

ძველად ყურნალისტს შეძლება ჰქონდა აქა-იქ პირდაპირ ეთქვა თავისი აზრი და, თუ ზოგჯერ ეს შეუძლებელი ხდებოდა, მიემართნა ეზოპიურ ენისათვის, რომელიც მკითხველს კარგად ესმოდა, ხოლო ხელისუფლება სირცხვილის შიშით ვერას უბედავდა.

მეორე, — და ეს უკვე პრინციპიალური განსხვავებაა, — ძველად, თვითმპყრობელობის აზრი თუ არ მოგწონდა და არ იზიარებდი, გაუჩუმდებოდი და ხელს არავინ ვახლებდა. დღევანდელი მოსკოველი დიქტატურა აღარ სჯერდება მოქალაქის პასიურ მონობას; ის მოითხოვს თავის ქვეშევრდომისაგან თავის აზრების აქტიურ განხილვას, ამ აზრებისათვის ხორცის შესხმას, მათს ცხოვრებაში გატარებას, — გატარება რას ქვიან, — ენტუზიაზმით, ლენინისა და სტალინის სახელების დიდებით ხმამაღლა დადას.

არა და... სად წაუვა ახალის ტერმინებით შევსებული ბოლშევიკურ სისხლის სამართლის კოდექსი: «კულაკ», «ფრედიტელ».

ასეთს წერტილამდე მიღწეულ დიქტატორულ ნებისყოფას უნდა მოჰყოლოდა, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ცხოვრების ისეთი გაერთფეროვანება, ან უკეთ, ამ ცხოვრებისათვის ყოველივე ფერის და შინაარსის იმ ხარისხამდე დაკარგვა, რომ საზოგადოება ყაზარმას დაემსგავსა და მისი ცხოვრება — ყაზარმის ცხოვრებას.

ყაზარმაში ყურნალ-გაზეთს რა უნდა. აქაური გაზეთია — «ბძანება» (ordre du jour, პრიკაზი).

ბოლშევიკური გაზეთებიც სწორედ ასეთს ბძანებებს წარმოადგენენ.

ტყუილი იმედია, თქვენის გონების ყურამდე მოაღწიოს ბოლშევიკურ გაზეთის ფურცლებიდან ცხოვრების მრავალ ფეროვანმა ხმამ.

ტყუილად დაუწყებთ ძებნას ამ გაზეთებში იმ მრავალგვარ დარგებს, ურომლისოდ გაზეთს გაზეთი არ ეთქმის, რადგან მათის საშუალებით მოდის და იმისი ცხოვრების ხმა.

მართალია, ბოლშევიკურ გაზეთშიაც შეხვდებით იმ ადგილს, სადაც მეთაური გეგულვებათ, რადასაც მის მსგავს, მაგრამ მეთაური არ გეგონათ, — მორიგი ბძანებაა, კომუნისტური ბძანება.

არა გჯერათ? წაიკითხეთ სათაურები: «აზნევეთმა მოქნილად და ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელოს»...

«პრაქტიკული მუშაობა შეუფარდეთ რევოლიუციურ თეორიის შესწავლას»...

«ამოგდებულ იქნას ანტისახელმწიფოებრივი (იგულისხმე ანტიბოლშევიკური) ტენდენციები».

«შეკეთებულ იქნას საფარები, გზები. ყოველივე პუნქტი უზრუნველ იქნას სასწორით»...

«წესიერად იქნას დალაგებული ბრიგადების და ბაზმის მომკრეფი შრომა».

«მოთხარეთ, ამოიღეთ (ნავთი), გაიტანეთ!»

და ამრიგად დღიდგან დღემდე, თვინდგან თვემდე, სეზონის მიხედვით გაისმის ბძანება, ე. ი. იბეჭდება ბოლშევიკურ გაზეთებში:

«სთესე! ფარცხე! თონე!»

ან «მომკე, გალენე, შეინახე (უკაცრაოდ), ჩამაბარე!»

და ამრიგად ყველა საქმის და ყველა დარგის შესახებ, — თესვაა, ნავთის ან რამე მადანის ამოღება, თუ რკინის გზის ან რამე ქარხნის მუშაობა.

კაცი იფიქრებს, გაზეთების ასეთს მკვირალა ნაწერებს შრომის ნაყოფიერების და მასთან ხალხის სიმდიდრისა და კეთილდღეობის ზრდა უნდა მოსდევდეს შედეგად.

მეტი არ არის თქვენი მტერი.

ჩაჰყვით გაზეთის იმ ნომერს, რომელშიაც მოწინავე თესვის ბოლშევიკურად მოგვარებას მოითხოვს და თან იკვენის, ამ განაფხულს კოლხოზურ მეურნეობას დიდი მიღწევანი ჰქონდაო, — ჩაჰყვით მეტი ამ ნომერს ცოტა ქვეით და წაიკითხავთ, რომ.. არც საკმარისი თესლი ყოფილა დამზადებული, არც შეკეთებული საჭირო იარაღი, რომ სახნისების საჭირო რაოდენობის ნახევარიც არ მოიპოვება; რომ ვისაც ტრაქტორების საქმე აბარიათ, არც კი იციან, რამდენი დასჭირდებათ ტრაქტორი, არც ისა, თუ როგორ მიდის მათი შეკეთების საქმე.

აღებთ სხვა ნომერს, სადაც ბაზმის დამზადებულა ლაპარაკი, და ისევ ის ბრძანებითი კილა გაზეთის თავში:

«დამზადებულ იქნას!» «მოგვარებულ იქნას!»

შემდეგ ისევ კვებნა: აქა, ამ დამკვრელ მეკოლხოზებმა ასეთი უნარი გამოიჩინეს, — ამდენი მიიტანეს დასამზადებელ პუნქტზე, იქ იმდენიო. შიგადაშიგ გაზეთი ათავსებს ქარხნის მუშის ან დამკვრელ მეკოლხოზის, კაცის თუ ქალის, სურათს.

და ისევ, ჩაჰყვებით იმვე ნომერს ცოტა ქვეით თუ არა, ჰკითხულობთ, რომ დამზადებული ბაზმა საწყობების დაუმზადებლობის გამო გარეთ გდია და სველდება, რომ გარჩეული ბაზმა გაურჩეველში აურევიათ, რომ ტომრების უქონლობით ბაზმის გადაზიდვა შეჩერებულა, რომ ზოგან ნაადრევად მოუკრეფიათ და სხვ.

ამრიგად ბოლშევიკური გაზეთების შინაარსი შეიძლება მოკლედ ასე გადმოიცეს: ჯერ ბრძანებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას მოგვარებული ესა თუ ის მუშაობა ან წარმოება; შემდეგ ტრაბახი და თავის ქება: მთელ ქვეყანას ვაჯობეთ, ამა და ამ ამხანაგებმა ასე ისახელეს თავი, იმან ის ბიჭობა გამოიჩინა; ამან კი... და აქ იწყება დაბეჭდება და ხელისუფლების და ჩვეისტების მისევა იმათთვის, ვინც ბოლშევიკურ ხაზს ვერ მიჰყვა.

ბოლოს აღწესდება ცუდად ან სულ არ შესრულების ფაქტებისა, რომელთა უკან გამოიყურება ბოლშევიკური პატრონობა-გამგებლობის სინამდვილე.

ასეთია ამ წერილის თავში დასახელებულ სამ ბოლშევიკურ გაზეთის სახე და შინაარსი, იმ განსხვავებით, რომ «ბატუმსკი რაბოჩი» და «სოვეტსკაია



აფხაზია», როგორც ადგილობრივი ორგანოები, ერთი ჩანისა და მეორე თამბაქოს გარშემო ჰქარავენ იმ ბოლშევიკურ სახეებს, ზემოდ რომ მოვახსენებ.

ძნელი წარმოსადგენია იმაზე მეტი მსგავსება, რაც ამ გაზეთებს შორის არსებობს. ერთი და იგივე ლოზუნგების გადმოსრულა, ერთი და იგივე თავის ქება და კვეხნა; როგორც სახელმძღვანელო ახრები «პრავდა»-ს მოწინავე წერილების თავისის სიტყვით გადმოცემა და ყოველ მეთაურ სტრიქონში ლენინის სახელის და სტალინის მზის ფიცი.

მაძხილებელი თავისუფალი სიტყვა დაბეჭდვად გადაუქცევიათ და, იმაზე მეტი რაღა გნებავთ, გაზეთის რედაქცია და მისი თანამშრომელნი გამოდიებუბსაც კი აწარმოებენ.

ცხოვრების სინამდვილესთან კავშირს მოკლებულნი რაღა ხელმძღვანელობას გაუწევენ საზოგადოებრივ აზრს.

ან კი საზოგადოებრივს აზრსა და საზოგადოებას ემსახურება განა ბოლშევიკური გაზეთი? ის ემორჩილება და ემონება ხელისუფლებას, ასრულებს მის ნებას და, რათა ყოველივე კრიტიკა აიშოროს, თვითკრიტიკას ქადაგებს და სოცმეჯიბრებას.

თვითკრიტიკა, თავის შეცდომების და ცოდვების ძებნა და აღიარება კარგი საქმეა. მაგრამ ყველა შემცდარი და ცოდვილი აღმოჩნდა? იქნება ადამიანები არაფერ შუაში იყვნენ და სისტემის ბრალი იყოს, როდესაც, მაგალითად, არცერთი საბარგო შერეული (სბორნი) მატარებელი თავის დროზე ვერ მოდის დანიშნულ ადგილზე.

უნდა ნახოთ, რა ამბავი, რა ალიაქოთი გამოიწვია ბოლშევიკურ პრესაში იმ ფაქტმა, რომ ვილაც კუტაინის ჩრდილო კავკასიის რკინის გზაზე ერთი ასეთი მატარებელი 13 საათის განმავლობაში ისე უტარებია, რომ დანიშნულ ადგილს დროზე მიუყვანია.

«პრავდამ» აღნიშნა ეს ფაქტი თავის მოწინავეში. და «ზარია ვასტოკა» ყირაშალა გადადის ამის გამო. ის უძღვის ამ ამბავს გაზეთის ნახევარს, რომელსაც უშველებელის ასობით ასეთს სათაურს აძლევს:

შეჯიბრება უნდა გახდეს (უნდა გახდეს—სდელაქ—ისევე ბრძანება) რკინის გზათა პროლეტარიატის საქმე.

უნდა მოინახოს (ნაიტი—ისევე ბრძანება) კუტაინები თაოსობით.

ამას მოჰყვება ჯერ «პრავდა»-ს მოწინავედგან ამონაწერები ევიგრაფების მსგავსად. შემდეგ რედაქციის წერილი:

«მივჰყვით «პრავდას» მოწოდებას».

და მერე რკინისგზელების წერილები ასეთის სათაურებით:

«ხელს გართმევ, ამხანაგო კუტაინის»

«უცილობლად ვადახე, დანიშნულ საათზე და წუთზე».

«კუტაინის მეთოდები—მუშაობის საძირკველში».

და რომ გაგახსენდებათ, რომ კუტაინმა გამოწინააღმდეგა სახით დროზე მიიყვანა ერთი მატარებელი დანიშნულ ადგილს, თქვენ გაოცებული რჩებით გაზეთის ასეთის განგაშით.

მშიერ-მწყურვალ და ტანსაცმელ მოკლებულ მუშებისათვის თვითკრიტიკა და სოცმეჯიბრების ქადაგების მაგიერ, გაზეთი ერთ წამს მაინც რომ შეჩერებულყო იმ გარემოებაზე, რომ არსად დედამიწის ზურგზე არ ხდება ის, რაც ხდება ბოლშევიკეთში,—აქ დროზე მოსული მატარებელი—იშვიათი გამონაკლისია, მაშინ როდესაც ყველგან სხვანაირი გამონაკლისია დაგვიანებული მატარებელი,—მიხვდებოდა, თუ რა ან ვისი კრიტიკა იყო საჭირო.

მაგრამ და მაგარიც ეს არის, რომ დიქტატურა გულისხმობს მონობას, და აბა რა საკვირველია, დიქტატურის ქვეყანაში გაზეთიც მონური იყოს და, მიუხედივად მალა ყვირილისა და განგაშისა, სულთმ მკვდარი.

და «ბატონის» გულის მოსაგებად გაიძახოდეს:

«ჩავკლათ ძველი ბიუროკრატიულ-საკანცელარიო მეთოდები ტრანსპორტზე მუშაობისა».

ევროპა კი სხვაფერ არც კი იხსენიებს ბოლშევიკურ სისტემას და მუშაობას, თუ არ ბიუროკრატიულად.

ლიტერატურა ცხოვრების სარკეა.

გაზეთიც ხომ ლიტერატურის ერთი დარგია.

და აი, ბოლშევიკურ ცხოვრების სარკის ერთი კუთხეც.

ივ. ზ—ლი.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს    ვ რ ო ზ ე მ ა

მსოფლიო ომის დამთავრებიდან, არასოდეს ისე არ ყოფილა საერთაშორისო ვითარება დაქიშული და ინტერესთა წინააღმდეგობა წამახვილებული, როგორც დღესაა. ერთა ლიგა—ეს «ზავის აკვანი»—მწვავე კრიზისის განიცდის; ორგულის მას სულთათანას უგალობენ. მას მოკეთენი შეუღმცირდა, მტერნი გაუმრავლდა და მარტო წვრილ სახელმწიფოთა ამარა დარჩა. ყველა დიდი სახელმწიფონი, საფრანგეთის გამოკლებით. ცდილობენ ლიგის გვერდით, მის გარეშე, ძველი «წონასწორობის» კომპინაციების მოწყობას. ამ ორომტრიალში საერთაშორისო ატმოსფერა თოფის წამლით იქლინებდა; წყნარ და დიდ

ოკეანეს შუა ომის სუნი ტრიალებს. დღეს არავინ დაობს ომი იქნება, თუ არა, არამედ იმაზე მარჩიელობენ—როდის იქნება. ამ ფსიქოლოგიით შეპყრობილი, ყველა საომარ მასალას გაფაციცებით ამზადებს. რუსეთ-ამერიკის შეუღლებება და რუხველტლიტვინოვის «ბუდერშავტ»-ი ამ საომარ ცივი-ცხელების გამოძახილია, იაპონიის დასაშინებლად და დაფრთხალ მოსკოვის გულის გასამაგრებლად.

აი ამ განსაკუთრებულ საერთაშორისო ატმოსფერაში განსაკუთრებულ სახეს იღებს საერთოდ რუსეთის ფარგლებში მოქცეულ ჩაგრულ ერთა სვებედი და კერძოდ კავკასიის.



როგორც უკანასკნელი ცნობები ადასტურებენ, რუსეთის მთელ სივრცეზე მძლავრი ნაციონალური მოძრაობანი დაიწყო. პირველ სიგნალს, თავის მს-სუტაობით და გაქანებით, უკრაინა იძლევა. მას მისდევს კავკასია, თურქესტანი, ციმბირი და სხვები. ეტყობა ჩაგრულ ერთა წილში ღრმა ნაციონალური დული-ლი სწარმოებს; რომლის ემბანში ევლებიან თვით მართლმორწმუნე კომუნისტებიც. იდეა თავისუფ-ლების, საკუთარი ერის თვითმართების და კეთილ-დღეობის ყოველგან იმარჯვებს და იპყრობს გუშინ დელ მოალაატეთა, სამშობლოს მტერთა სულს და გულს. ერგუნულ ბრძოლის ბაზა ყოველგან ფართო-ვდება და ის სცილდება ნაციონალურად განწყო-ბილ მასებს და ელემენტებს. ვარდამავალ ხანის და-მხასისათებელი თვისებაა—ეროვნულ ბრძოლაში გუშინდელ კომუნისტების, კრემლის ამ შინაყმათა, ნაციონალურ პოზიციებზე გადმოსვლა. ამის მკაფიო მაგალითია უკრაინის კომპარტიის განწყობილება სკრიპნიკის და სხვების მეთაურობით. უეჭველია, უკრაინის ისტორია საერთო მოვლენაა. ამდენეთად მას მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ეროვნულ ბრძოლის პრაქტიკისათვის და ცხადია, მას შესაფე-რისად გამოიყენებენ ჩაგრულ ერთა ადგილობრივად მებრძოლი ორგანოები. ეროვნულ მოძრაობის გამმა-ფრებამ რუსული ემიგრაციაც ააფორიანა და მილი-უკრგმა ლონდონს მიხმურა: არიქა გვიშველეთ, რუ-სეთი ნაწილდება, დახეთ უკრაინაში ნაციონალური კომპარტიაც კი მხარს უჭერს უკრაინის თავისუფ-ლებას. ცხადია, ამ პუნქტში კრემლი და «მთლიანი განუყოფელი» რუსეთის მომხრენი ერთ ნავში ზიან. დალუპვა ერთის ნიშნავს მეორეს დამარცხებას; იმე-დების და ილუზიების და მსხვერვას. ჩაგრულ ერთა მოძრაობის ტალღები ზევით იწივს, ის უკვე ავარდა და ამ ახალ «მოკავშირეთა» ნავის ჩაძირვა ისტორი-ის განაჩენია. ამიტომაცაა მოსკოვი და მილიუკრვი უკრაინის ამბებით შეშფოთებულნი დორბლს ყრიან და «მთლიანი» რუსეთის გადასარჩენლად დანაელ-თაც კი მოუხმობენ, არავითარ საშვალებას აღარ ზოგავენ ეროვნულ მოძრაობის გასაბანებლათ და ჩასაქრლად.

ამ მხრივ განსაკუთრებული პირობებია კავკა-სიაში. მისმა ერებმა კარგად იციან, მწარე გამოცდი-ლებით, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებელი, თავისუ-ფალი არსებობა. ამაში დღეს კომპარტიის მასიური წევრებიც გარკვეული არიან. ასეა თუ ისე დაჩაგრულ ხალხთან ერთად, ისინიც განიცდიან მოსკოვის მიძიე უღელს. ამდენეთად მოსკოვის ბატონობის გადასაგ-დებად უკრაინის მაგალითი მათთვის ხდება გზა და ხიდათ, ხაზის და საშვალეებების მაჩვენებლათ.

მაგრამ არც მტერს სძინავს. ის შეეცდება გამო-იყენოს კავკასიის ეტნოგრაფიული ვითარება და ერებს შორის ანტაგონიზმის გაღვივებით ისინი ააციდინოს თავის მთავარ მიზანს—მოსკოვთან ბრძო-ლას; დაქსაქსოს და ერთიმეორეს დაუპირდაპირს და მით საფრთხე მოიცილოს. ამიტომ კავკასიის ერ-თა ორგანიზაციების ვალია შეეცადონ მტრის მზა-კვრულ ზრახვების ჩაფუშვას, ურთიერთან მჭიდროდ გადამბვას, ერთი მიზნით და მისწრაფებებით გამს-

ჯვალვას. მიზანი კი ერთია: კავკასიის განთავისუფ-ლება ოკუპაციისაგან. შექმნა თავისუფალი კონფე-დერატული კავშირის და ხალხის მეუფების დამკვი-დრება. ამით ჩვენ უპირდაპირდებით რუსულ «ზაკ-ფედერაციას», რომელიც მხოლოდ ფირმა ახალი მონობის; ერთა ჩაგვრის და სოციალურ ცარცვა-გლეჯის. მოსკოვს «ზაკფედერაციის» დროშით ყმა-ბაში ყავს 8 მილიონიანი კავკასიის ხალხები, რომე-ლთა ქონებას, ავლა დიდებას ითვისებს. მის სულიერ კულტურას, ზნე-ჩვეულებას და ადათებს ფეხქვეშ თელავს... ამ მონობის და ჩაგვრის წინამდებე ილაშ-ქრებს კავკასიის კონფედერატული კავშირი, რომ-ლის თითოეული წევრი თავისუფალი და სუვერენუ-ლია. ამ ბრძოლაში მონაწილე—ქართველია ის, თუ ადერბეიჯანელი, სომეხი თუ მთიელი—ძმებია, პირ-ში და ლხინში განუყრელი, თანამებრძოლნი და თა-ნამოლაშქრენი ნაციონალურ და სოციალურ ჩაგვრის დასათრგუნვად წამოშლილნი. ფიცი უტყვის; ფიცი ურყევი ძმობისა და ერთობის—აი რა უნდა ედოს საფუძვლად კავკასიის ერების მტერთან ბრძოლას. მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი მებრძოლ ერთა ორგანიზაციებს შორის ადვილობრივ—აი ჩვენი დღე-ვანდელი საშინაო, კავკასიური საქმე.

ამ საქმის მეორე მხარეა კავკასიის საგარეო მდგომარეობა; დამოკიდებულება მის სამხრეთ მე-ზობლებთან, რომელთა სწორად გაგებული ნაციონა-ლური ინტერესი კავკასიის დამოუკიდებლობის ხაზ-ზე მოდის. დამოუკიდებელი კავკასია აშორებს რუ-სეთს ოსმალეთის საზღვარს და შუაზე გაუვალ ჯე-ბირს მართავს, რაც მომავლის საფრთხეს თავიდან აციდენს ძლიერი მეზობლის მხრივ. სამწუხაროდ წარ-სულში ოსმალეთის პოლიტიკაში დავიწყებული იყო ეს აზნანური ქვეშარტიტება და ის ხშირად მსხვერ-პლად ეწირებოდა წუთიერ და წარმავალ ინტერესებს და საეჭვო პრეტენზიებს. ამის გახსენება მით უფრო საჭიროა დღეს, მოსალდენელ ქარიზხალის წინ. რა-თა გარკვეული იქნეს კავკასიის მტერ-მოყვრის პო-ლიტიკა და ფინიანომია. წარსულის განმეორება შე-უძლებელია, ამის თავდება კავკასიის ერთა განვლი-ლი ტანჯვა-წამება და 13 წლის სისხლიანი ბრძო-ლები.

ესეც არ იყვეს, კავკასიის დამოუკიდებლობის იდეა არ ახალია. ის ჯერ კიდევ 1918 წელს ეზიარა თავისუფლებას; მართალია მეტად ხანმოკლე გამო-დგა მისი არსებობა, მაგრამ მას თავისი მიზეზები ქონდა. ერთი იყო შინაგანი დაქსაქსულობა, ხშირად მოჩვენებით ინტერესთა წინ წამოყენება და ამით მთლიანობის ფსიქოლოგიური საფუძვლის მოშლა. ხოლო მეორე, და მთავარი იყო საგარეო ურთიერ-ობა გამოწვეული გარეშე ძალებით და ინტერესე-ბით, რომლებიც ხელს უწყობდენ კავკასიის ერთა შორის ურთიერთობის გამწვავებას. ამას მოყვა კავ-კასიის შემადგენელ ნაწილებათ დაყოფა და ასე და-ნაწილებული იგი დახვდა ჩრდილოეთიდან დაგორე-ბულ რუსულ ტალღას და ცალცალკე, განმარტოე-ბული წაილეკა. შეიძლება კავკასია ასე ადვილად ვერ ჩაეყლაპა ბოლშევიკურ, სამოქალაქო ომით სისხლ დაცლილ, რუსეთს, რომ აქაც, როგორც მე-18



საუკუნის მიწურულში ოსმალეთის პოლიტიკას გადამჭრელი როლი არ ეთამაშა. მან წარმავალ, დღიურ სარგებელს ანაცვალა ისტორიული ინტერესები. ბერძნებთან ომში ჩაბმული ქემალის ოსმალეთი ხელს უწყდის რუსეთს და მისგან დახმარების მოლოდინში გზას უხსნის კავკასიაში. რუსეთი მეორეთ შემოდის მტკვრისა და რიონის ხეობაში და კვლავ უმეზობლდება ოსმალეთს. არ არის საინტერესო ოსმალეთმა მართლა რუსების დახმარებით გაიმარჯვა, თუ მას მოკავშირეთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა უწყობდა ხელს. მთავარია, რომ ოსმალეთმა მეორეჯერ რუსეთის კავკასიაში შემოსვლას ხელი შეუწყო (გაიხსენეთ ბაქოს და ადერბეიჯანის ამბები) და, როგორც ვორსილოვის მგზავრობა ამტკიცებს, გულითად მეგობრულ განწყობილებასაც არიან.

კიდევ მეტი: სტამბოლის თურქულ ვაზ. «ნერგიუნის» 27-28 ოქტომბრის 1933 წ. ნომრებში დაბეჭდილია ცნობილ კურანლისტის ვალა ნუსრედინ ბენის წერილები. საიდანაც ვგებულობთ, რომ მოსკოვი დიდ დახმარებას უწყევს ანგორას ჰაერსაპლანებით, ზარბაზნებით და ტყვია-წამლით. ამ სიკეთით ყველა კმაყოფილი უნდა იყოს ოსმალეთში, მაგრამ იგივე ნურედინ ბეი დაეკვიბულა მოსკოვის მეგობრობაში და კითხვას უსვამს კრემლის ბატონებს: «მოსკოვი, თუ მართლა გულითადი მეგობარია ოსმალეთის, რატომ არის, რომ ჰაერსაპლანებზე ზარბაზნების ჩუქებასთან ერთად არ აძლევს საშვალებას ოსმალეთს კულტურული კავშირი იქონიოს მის მონათესავე ერებთან რუსეთში?». ეს მდგომარეობა ატიქრებს თურქ კურანლისტს და შიგ მოსკოვის ჩვეულებრივ მხაჯერობას ხედავს. ოღონდაც მოსკოვი ადვილად გასცემს თოფ-ზარბაზნებს, რომ ამით ვასალურ მდგომარეობაში იყლინოს თავისუფალი ოსმალეთი: ცხადია, ანგორის ლამაზ ვაილებისათვის რუსეთი ერთ დაქანგულ თოფსაც არ ვაძლევს. თუ დღეს ამაში ნურედინს და სხვებს მხოლოდ იჭვი შეაქვთ, ხვალ ეს რეალობად იქცევა და არ ფიქრობთ აქედან ოსმალეთმა რამე მოიგოს. როგორი განწყობილების არ უნდა იყვნენ დღეს ბოლშევიკები, თუგინდ თურქოფილურის. რუსეთის იმპერიალისტური ინტერესები მათ მოუხმობს ახალ აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ამ ინტერესთა გზაზე დევს დღევანდელი ოსმალეთი. დღეს არა ხვალ ეს ორი ინტერესი თავს იჩენს, სამუკარაოზე გამოვა და ერთმანეთს დაეჯახება. ძნელი არ არის იმის გამოცნობა თუ ვის მხარეზე დაჩრება გამარჯვება. ამრიგად ორიენტაცია რეჟიმზე, მის წარმავალ ინტერესებზე, მეტად ცუდი პოლიტიკაა. ვინ არ იცის; რომ ბოლშევიზმი, როგორც რეჟიმი, წარმავალია. ვინ და მისი ინტერესები კი მუდმივი. არ ვფიქრობთ ოსმალეთისათვის საბოლოო ანგარიშით სარგებელიანი იყოს რუსეთის მეზობლობა. მაგრამ თუ მაინც ხდება ამ ისტორიულ სინამდვილიდან გადახვევა; ეს კიდევ უფრო მეტი საბუთია; რომ კავკასიის ერებმა ნათლად შეიგნონ რეალური ვითარება და თავისი ბედი თავის ძალღონეზე დაამყარონ.

გაერთიანებული, თავისუფალი კავკასია, რომლის ჩრდილოეთ კარებს ამაყი მთის ხალხი იცავს, შესძლებს დამოუკიდებლობის დამაგრებას; მით

უფრო, რომ ის მარტოდ არ არის. მასთან არიან და ბრძოლას უადვილებენ რუსეთის ჩაგრული ერები: უკრაინა, თურქესტანი, ციმბირი, ბელორუსია და სხვანი. ორიენტაცია ამ ძალებზე, გადაბმვა და დაკავშირება ამ ძალებთან და უარყოფა, როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის ორიენტაციის—არის ის დეულაბი, რომლითაც უნდა ამოიკრიოს კავკასიის თავისუფლების საშირველი.

ოსმალეთის პრესა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეურიგდეს კავკასიის ხალხების თავისუფლებას და ხელი აიღოს მისი ძალების დაქსაქსვანზე, ზრთიერთის წაკიდებაზე, როგორც ამას ჩადის თურქ სტუდენტთა ორგანო «ბირლიკი» (5 ოქტომბერი 1933 წ. გამოდის ოსმალეთში); რომელიც ცილს სწამებს საქართველოს, რომ ვითომც მას არ სურდეს კავკასიის დამოუკიდებლობა და «ქართველები ატყველებდნენ» ადერბეიჯანელ პატრიოტებს. «ბირლიკის» ასეთი ჭორი და ცილისწამება ასუსტებს კავკასიის ერთა ბრძოლის უნარს და ხელს უხსნის მოსკოვის კავკასიაში სამოქმედო და ახლო აღმოსავლეთზე თავისი ჰეგემონიის გასამტკიცებლად. ვის ინტერესებს ემსახურება «ბირლიკის» ასეთი პოლიტიკა? ვის წისქვილზე ასხამს იგი წყალს? ყოველ შემთხვევაში არა კავკასიის და ოსმალეთის რეალური ინტერესებზე! რაც შეეხება საქართველოს; იგი ხსნას მცირე ერთა მოძრაობაში მთა მათთან კავშირში ხედავს; კვრამთ კი კავკასიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაში. სხვა ორიენტაცია მას არ აქვს, თუ ვინმე ძალით თავს არ მოახვეწეს; როგორც შორეულ წარსულში. ამიტომაცაა საქართველოს რეალური ინტერესები, კავკასიის დამოუკიდებლობაში გამოხატული; ჩვენ გვებატება ოსმალეთის ინტერესთა არა ანტიპოდით, არა მოქიშკით, არამედ სამეზობლობით და სამეგობრობით.

ცხადია; რუსეთი კავკასიაში ნიშნავს—რუსეთი სტამბოლში და საქარის მინდვრებში: ამდენეთად კავკასია მთლიანი და დამოუკიდებელი ის ცნობა, რომელიც იცავს თავის დამოუკიდებლობასთან ერთად ოსმალეთის თავისუფლებას. ეს თერმობილეს კარებია, რომლის დამცველთა გამაგრება ნიშნავს მთელი აღმოსავლეთის დაცვას: აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ოსმალეთის რეალური ინტერესები მოითხოვენ რუსეთის კავკასიისად გარეკვას და მისგან ძლიერი ბუფერული სახელმწიფოს შექმნას. ხოლო სამწუხარაა, რომ ხშირად ეს ისტორიული ინტერესები ენაცვლებიან ყოველ დღიურ და წუთიერ ინტერესებს. გარკვეულ ისტორიულ პოლიტიკას ცვლიან მიზანშეწონილობის სურვილები და მომენტის ფაქტები.

ამ რიგად კავკასიის ერების და ოსმალეთის წინაშე გადაჭრილი ალტერნატივა დგას: დამოუკიდებელი სუვერენული კავკასია და მით თავისუფალი ოსმალეთი, ანდა დაპყრობილი კავკასია და აქედან რუსეთის ვასალი ოსმალეთი, რუსეთი ან კავკასია. სხვა გზა არ არის.

ხან-მანი,

\*) ის. ჩვენი გაზეთი, ქვემოთ.

თავისუფლების თავდებობა

თუ აწმყო ურიცხვი ძაფებით, გადამბული არის ნამყოსთან, ასევე ებმება ჯერეთ უჩინარსა და მიუთხრობელ მყობადთანაც. ელემენტები, რომლებიც თანამედროვე ცხოვრებას იმპანენტურად თანასდევნენ განვლილ ქამთაგან, ერთგვარად მომავალ ქამთადენასაც ეკუთვნიან. სოციოლოგიამ არ იცის ინვოლუციური მოვლენები: აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა.

ამ ნიშანდობლობას ინდივიდიც განიცდის, რამდენადაც მისი ფსიქო ფიზიოლოგიური არსება უმეტესად თანდაყოლილ თვისებებს ატარებს: დედა ნახე, მამა ნახე, შვილიც ისე გამოიხატე.

და ეს ძირითადი ბიოლოგიური კანონი მეტნაკლებობით სოციალურ წრეწედაც ვრცელდება. სხვაგვარად არც შეიძლება: ხალხი ადამიანთა თავმოყრაა, საზოგადოება ინდივიდების კონკრეტია.

ისტორიულად უხსოვარ დროთაგან ერთად ნაცხოვრ ხალხს იმ თავისებურებათა მიხედვით ეწოდება ერთი, რაიცა მას განარჩევს კაცობრიობის სხვა ნაწილებისაგან, ამიტომ ითქმის: ეს ხალხი ასეთია, ის ხალხი ისეთი.

გარეგანი, სულ ზერეულე დაკვირვებაც საკმარისია, რომ ამათუიმ ხალხის დამახასიათებელი, განსხვავებული ნიშნები ცხადსაყოფელ იქმნენ. ეთნიური ნიშნებით იცნობება, როგორც, მაგალითად, ენა, ზნე, ადათი, გონებითი და სულიერი მიდრეკილება და მთელი წყება იმ აპპერცეპციულ შესაძლებლობებისა, რითაც ერთი ეხმარება მის საკეთილთა, თუ საწინაღობ მოჩენილ გარეგან მოვლენებსა და მოქმედებებს, სულერთია რა იქნება მათი წარმომშობი—ბუნება, თუ ხალხთა განზრახვა...

ქართველი ერის ცხოვრება ისტორიულად იმთავითვე ისე მიიმართებოდა, რომ მისი მთელი გულისყურიცა და ენერჯიაც მტრულად განწყობილ გარეგანძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში იხარჯებოდა. განგებამ განგოზილი და უხვი დოვლათის ქვეყანა მიგვიჩინა, მაგრამ ესევე არ ითქმის იმ ხალხების უმეტესობაზე, რომელთა მეზობლობა გვხვდა წილად. საქართველოს ისტორიას ჭეშმარიტად უნდა ეწოდებოდეს სისხლიანი მატთანე: და მართლაც, თუ სხვა ხალხთა ისტორიაში ომი წარმოადგენს მხოლოდ ეპიზოდურ შემთხვევას, ვითარცა დარღვევა ამათუიმ დროით ნორმალ ცხოვრების მიმდინარეობისა, ქართველ ხალხისათვის ესევე ომი ჩვეულ მოვლენას უდრიდა მუდამ. ომს კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ ხათაც სწორედ ის იყო, რომ მტრები რიცხვით მუდამა სჭარბობდნენ ქართველებს და ხშირათ შეკავშირებულნიც უტევდნენ ჩვენს პატარა სამეფოს.

საუკუნოებში გადასულ ქართულ მარტიროლოგიას რომ უკვირდები, განცვიფრება გიპყრობს: რა თილისმანი იფარავდა ამ ერთმუჟა ხალხს გადაგვარებისა და ძირიან განადგურებისაგან?! რა საშუალებანი ინახავდნენ იმ ძალას, რომელიც გაცამტყერე-

ბულ არემარეს კვლავ ფენიქსისამებრ აღორძინებდა?!..

სამეფოს ტერიტორიის სიმცირისა გამო თითქმის ყველა ომი, თუ ებრვე სხვა საფრთხე მოითხოვდა ქუდზე კაცის გამოსვლას. ყოველი ქართველი ჭაბუკობიდან დაწყებული სიბერემდის მხედარი იყო არსებითად. მგოსანი როცა ამბობს, რომ ქართლის დედაი უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა, იმისი თქმა უნდა, რომ ქართველი ვაჟის აღზრდას თავდაპირველად სამხედრო ნიჟისა და პატრიოტიზმის შთანერვავა და განვითარება ედო საფუძვლად. სხვაფრივ არც შეიძლებოდა ბარბაროსებისაგან გარემორტყმულ მიწაყალის მოვლა და პატრონობა. თავისთავად საგულისხმეა, რომ ასეთს ვითარებაში მტერთა მოწყალებაზე თავისმიშვება მონობისა და გადაგვარების მომასწავებელი იქნებოდა. ის ერთი, რომელიც ასეთი ყოფაქცევით მიუძღოდა თავის სახელმწიფოებრივობას, მწარე ნაყოფს იმკიდა: ქამთაბრუნვაში ამგვარი ხალხი შეუბრალებლათ ისრისებოდა, ის ჰკარგავდა ეროვნულ თავმოყვარეობასა და სიამაყეს, სხვათა პირშემყურე ხდებოდა, მას ერთმეოდა ყოველივე ინიციატივა საკუთარ საქმეთა მოწესრიგებაში, მთელი მისი შეგნება და სულიერი განწყობილება დღემუდამ უცხოთა ზრახვებს უნდა შეჰფერებოდა. უცხოთა სურვილის მიხედვით იძულებული ხდებოდა მოეწყო როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება; მოკლეთ—მას იპყრობდა ყოველმხრივი დებრესისა და როგორც ერთი და სახელმწიფო ილუპებოდა... ისტორიაში არა ერთიდაორი მაგალითი არის ამათუიმ ხალხის წაშლისა ცხოვრების სიდიან! მათი ვინაობის გაცნობა და შესწავლა წიგნსაცავებისა და მუხეუმების საშუალებითა თუ შეიძლება..

ქართველმა ერმა არ ინდობა ამ გზით სვლა. მან წინახანებიდანვე მამულისა და ეროვნული სახეობის დაცვა თავის საღმრთო დანიშნულებათ დაისახა და ამ მცნებას უქვემდებარებდა საზოგადოებრივ, სახელმწიფოურ ცხოვრების მთელს შინაარსს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი, თავადი, თუ ბერი მამულის შენახვის იდიეთ საზრდოობდა. საქართველოსათვის თავდადება—აი ქვაკუთხედი; რახნდაც განმტკიცებული იყო ხალხის ცხოვრება ბითუმათ აღებული. ამანვე ჰიქირბოდა ერის შემკრებილობითი გონება და ამასვე ეწირებოდა მისი ქონებრივი სახსარი. პატრიოტული სულისკვეთება თვითეულ ოჯახში ღვიოდა და აქედან მიმოიბნეოდა საჯამათო შესასმენათ: სასახლეში მეფე. სადარბაზოში დიდებულნი, დაწესებულებებში ვეზირნი და მოხელენი, ჯარში სპასპეტნი, სკოლაში მასწავლებელი, საყდარში მღვდელი—ყველას სიტყვაცა და საქმეცა ქართულ სამკვიდრებელის განდიდებისაკენ მიიზიდებოდა.

ამიტომ სამეფოს გასაქირში ჩავარდნისას, როცა მტრების ურიცხვი ურდოები მას გარსერტყმოდნენ, ან-და მის მიწაყალზე ნავარდობდნენ, ქართველი





გულს არ იტენდა, სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა! ის იმედით თვალსაპყრობდა მომავალს, იცოდა, რომ მამულიშვილური შეგნება არ შეიგუებდა მძლევების უღელს და ამის თავდებობას ჰხედავდა თვით ერის განვლილ ცხოვრებაში, იმ ისტორიულ ფაქტებში, რომლებითაც აღბეჭდილი იყო წინათობათა გმირობა და საქვეყნო საქმისათვის თავდაუზოგველობა, რომლებიც კომწომბდნენ ერის ვაჟკაცობასა და გულადობაზე, რომლებზედაც აკინძული იყო მშვენიერი მოთხრობა მებრძოლ ხალხის განუზომელი ერთგულებისა სახელმწიფოთ თავისუფლებისა და სოციალ პოლიტიკურ წესიერებისადმი. ეს ურყევი ფაქტია ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრებაში, ცხადია და მრავალგზით შემოწმებული, ხოლო ამაზე ქართველი თუ შეაჩერებს ვისიმე ყურადღებას, ეს იმას არც კვხენითა და არც ამპარტავნობით მოსდის: ჩვენს სიტყვებში მხოლოდ განმეორება არის იმისა, რასაც ერთნაირად უცვლელად კომწომბდნენ სხვადასხვა ხალხის ყველა დროის მკვლევარნი და მსწავლეულები.

ასე, ერთის გარდუვალი ნებისყოფითა და მტკიცე შეგნებით შედუღებულმა ხალხმა ორიათასი წლის მანძილზე მართლმკეთებლობით უპატრონა თავისივე, სისხლით მორწყულ სამშობლოს და ამ ღვაწლში უპირატესობა ჯერეთ მის მახვილს ენიჭება!

მაგრამ ქართული ხმალი ქარქაშში არ იდებოდა იმიტომ კი არა, რომ მარჯვნივ-მარცხნივ მუსრი ევლო ვანუკითხვად: ქართველი ბუნებით მშვიდობის მოყვარეა, ხოლო უცხოთა პატივისცემა ადათათ შემოღებული აქვს ძველადვე, გარნა ამასვე ის მოითხოვდა სხვათაგანაც და არც არავის შეარჩენდა ამ სამართლიანი მცნების გარდახვევასა და დარღვევას.

საქართველოს ისტორიამ არ უწყის ომი, რომელიც ქართველობის გამოისობით—შურიტა, განდიდების სურვილითა, მეზობლებისადმი სიძულვილითა, თუ ებრვე სხვა ზრანგებით—ამტყდარიყო, მაგრამ ჩვენს ანნალებს არც ის ახსოვს, რომ ქართველებს ვისთვისმე ეპატებინათ ეროვნული ღირსების დამცირება, სახელმწიფო პრეროგატივების ხელშეგნება. ხოლო ჩვენი ხალხის განსაკუთრებულ ზიზს მუდამ იწვევდა მტერი ფლიდი, მატყუარა, სიტყვის გამტეხი, მზაკვარი და უმოწყალო უიარაღოთა და უმწყეთა მიმართ, არსებითად მხდალი და ლაჩარი, ქართული მხედრული ბუნება მოწინააღმდეგეში ეძებდა რაინდობასა და პატიოსნებას. მტრის მიერ ბრძოლის ველზე ამ მცნების მუხსრულელობა ქართველ სარდლობისათვის საკმარისი იყო, რომ მთელი რისხვით თავსდაპრტყმოდა მას და აი აქ კი უკვე შებრალება ელეოდა ჩვენს ლაშქარს.

რუსეთის იმპერიის ასიწლის მეუფებამ ჩვენს ერს ვერ შეუცვალა ვერცერთი თანდაყოლილი მისი თვისება, ისე რომ როცა განგებისმიერ განზომილი ქაშათა დენა მიიწურა და ქართველობა თავისი სამკვიდრებელის უფალი შეიქმნა, მან აღიღო საუე მპყრობელობისა ჩვეული ქართული ტრადიციებით და ამ წესხევე ააგო სახელმწიფოს საგარეო მიმართებანიც. დროთა დენაში საუკრო შეიქმნა დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარება რუსეთთანაც, რომელთან

წინასწარი მოლაპარაკება—ამ სახელმწიფოს სტრუქტურის ძირიანათ შეცვლისა გამო—ქართველ დესპანთაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ სიფრთხილესა, შორსმჭვრეტელობასა და ყოველივე წვრილმანის აწონდაწონას...

არაერთხელა თქმულა, რომ მოსკოვში წარგზავნილი ქართული მისისია თითქოს არა მდგარიყოს სათანადო სიმალეზე და არც ხარისხით დაჯილდოებული. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ერთის მტკიცებაც შეიძლება და მეორისაც, ცხადია უმჯობეს დესპანთა გამონახვაც შეიძლებოდა, გარნა შემდგომ დატრიალებულ ამბავთა წყებამ დაგვანახვა, რომ უზურში კომუნისტურ რუსეთის ვერაგობას ვერ ავიციდნენტი, გინდრომ მის კარზე მეტტერნიხები წარგვედგინა...

ჩვენს თავზე გარდამხდარი ეს ეპიზოდი, რომელმაც იმსხვერპლა საქართველოს დამოუკიდებლობა და კარსმოგვაყენა კომუნისტური საშინელება, საფლავის ლოდვიით დღესაც რომ აწვევს გამწარებულ ხალხს,—მე იმიტომ გავიხსენე, რომ კიდევ ერთგზით ნათელმეყო გამოთქმული ჰაზრი ეთნიურ თვისებათაზედა.

რათ იბრძვის ასე გააფთრებულად ერი ქართლისა? რისთვის გააქვს ეგზოში მსხვერპლი დაუნდობლათ და ზოგჯერ გამოუანგარიშებლათაც? რამ ჩაუწყდინა შიგ გულის სიღრმემდის აღშფოთება და ზიზსი მოსკოვისა და მის დამქაშებისადმი? ავიხსენით სულიერი ემოციები ტყვედმნილი ერისა! გამონახეთ გაგება მისი შეურთებლობისა! შეისმინეთ მისი იღუმალი ზმანება! დაიჯერეთ მისი ფიცი ბრძოლისათვის საბოლოო გამარჯვებამდის: შენი ივერი აღსდგეს ძლიერი...

მაშ რა უნდა მომხდარიყო, თუ არა ის, რასაცა ჰხედავს და რითაც გაოცებულია მთელი ქვეყანა?! მაშ როგორი პასუხი უნდა მიჰგებოდა მატყუარასა და ხნეგადარეცნილ მტერს? მაშ რალანი ვიქნებოდით, თუ შემოკრიბებულს შევრიგებოდით და მათ წინაშე ბეჭლი-აღა გვედრიალა?! რა სახელი დაგვერქმეოდა მაშინ? რალა იქნებოდა ჩვენი წარსული, მრავალნახული ღვაწმემოსილი ისტორია ქართველი ერისა?! რა უნდა გვეთქვა სამშობლოს შვებისათვის შესვენებულთათვის? როგორი თვალით და შეგვეძლო შეგვეხედნა ჩვენთვის დაღუპულთა სამარეებისათვის? ქართლის მატიანესთან ხომ აღიკვეთებოდა კავშირი და ნათესაობა?!

არა, ამას ვერ ჩაიდენდა ქართველი!!! ის ვერ დაჰკარგავდა ძველს გზას, საუკუნეთა სიღრმიდან რომ მიამართებდა ერის საუნჯეს განვითარებისა და განათლებისაქენ!

ეს სავალი მთლიანად შედებილია თავგანწირულ მეომართა სისხლით და მას განუყრელათ ერთვის ორი მომყოლი ზოლი—თეთრი და შავი—, სიხარულისა და სიმწუხრისა, შვებისა და იწროებისა, აღმაღლებისა და ქვედათხევისა, აღდგომისა და დათრგუნვისა... ამ ფერებში ჩაქსოვილია საქართველოს ხანდასმული ისტორია!

როდესაც დაჰკრა განთავისუფლების ზარმა, სამშობლოს ცაზე სწორეთ ასეთი ბიარალი—სისხლის

ფერი, თეთრითა და შავით შეზავებული—ალტერნატი-  
ვია, რათა დიდებული წარსული ამ სიმბოლური გა-  
დაბმით უფრო ცხადად გვეგრძნობა და განგვეცადნა!

ეს გასხვიანებული სანახაობა მთელმა ერმა შე-  
იგნო გონებით, მიიჩნია გულით და მის დასაბრუნე-  
ბლად დღესაც იბრძვის ძველებური სიმშენითა და  
აღტაცებით...

რ. ინგილო.

### თურქეთი და კავკასია

#### I.

«ისტოკლალ» № 41, ანერბეიჯანელების ორგანო.  
წერილი მ. ბ. მეჰმედ-ზადესი (ბოლშევიკების სახა-  
რებლად მიმუშავებელი).

წერილში ვრცლადაა აწერილი ბოლშევიკების  
და მათი აგენტების მუშაობა მუსულმანურ ქვეყნებ-  
ში იმათ წინააღმდეგ, ვინც იბრძვის თურქთა ერების  
განსათავისუფლებლად რუსეთის უღლისაგან. სხვა-  
თა შორის დასახელებულია ცნობები სპარსელ ნა-  
ციონალისტის მაჰმუდ ხან აფშარის წერილი, რომე-  
ლიც გამოწვეულია ჩინეთის თურქისტანის აჯანყე-  
ბით და დაბეჭდილი იყო თეირანის და ქაბულის გა-  
ზეთებში და სადაც ავტორი მოუწოდებს სპარსებს,  
ავღანებს, ჩინელებს და რუსებს ვაერთიანდნენ თურ-  
ქების ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ; რადგან  
ეს ემუქრება ამ ერების სახელმწიფოების მთლიანო-  
ბას. მეჰმედ-ზადეს სიტყვით, აფთარი ერთს დროს  
რედაქტორი იყო სპარსულ ნაციონალისტურ ჟურ-  
ნალის და ისე, როგორც სომხის დაშნაკელები; ჰქა-  
დავებდა პან-ირანიზმს, რომელშიაც უნდა შევიდნენ  
სპარსეთი, კავკასია, ავღანისტანი; ნაწილი თურქის-  
ტანისა, ქურთისტანის, ირაყი და ინდოეთი და რომ-  
ლის ცენტრი უნდა იქნეს სპარსეთი. ამ მიზნით აფ-  
თარმა გაილაშქრა ანერბეიჯანელ ნაციონალისტე-  
ბის წინააღმდეგ, რომელთაც უწოდა თურქეთის აგენ-  
ტები. მას ამ საქმეში მხარს უჭერდნენ დაშნაკელები  
და აგრეთვე თეთრი და წითელი რუსები.

აფთარის მსგავსი პირები, რომლებიც ბოლშე-  
ვიკების სახარებლობა მუშაობენ და რომელთაც  
ბოლშევიკები მხარს უჭერენ, არიან თურქეთშიც  
(ოსმალეთში). ესენი ანერბეიჯანის დამოუკიდებლო-  
ბის მომხრეებს თურქეთის და თურქიზმის მტრებად  
აცხადებენ. ყველაზე უფრო ახლა მოდაშია ბოლშე-  
ვიკური აგენტების «პანთურანიზმის» ლოზუნგი. მათ  
კარგად უწყობს ყოველი ქვეყნის ვითარება და იციან,  
თუ როგორ მთაბეჭდილებას ახდენს პან-თურანი-  
სტული იდეა იმ გატაცებულ ახალგაზდებზე, რომელ-  
თაც უკუა და გონება კი არ ხელმძღვანელობს. არა-  
მედ გრძნობა. რომ თურქეთში არიან ამ ბრძოლაგან-  
დით დამორჩილებულნი; რომლის აშკარა მიზანია  
თურქეთის საზოგადოებრივი აზრის ამხედრება ანე-  
რბეიჯანის ნაციონალისტების წინააღმდეგ. —ამას სა-  
უცხოვრთ ადასტურებს თურქ სტუდენტთა ორგა-  
ნის «ბირლიკის» მეორე ნუმერი, სადაც ჩვენ—ანერ-  
ბეიჯანელებს—ბრალად გვადებენ სომხებთან თანამ-  
შრომლობას—რაც ნამდვილად არ არსებობს—და

ამტკიცებენ, რომ ანერბეიჯანის დამოუკიდებლობა  
ეროვნების ღალატია.

შემდეგ «ისტოკლალის» წერილის ავტორი მე-  
ჰმედ-ზადე «ბირლიკის» პან-თურანიტულ იდეას  
კრიტიკას უკეთებს და ამბობს, რომ პან-თურანიზმი  
საერთოდ გაკრთებულია უკვე. «თვითონ ზიან-ბეგმა  
(ავტორია «ბირლიკის» წერილისა); სწერს მეჰმედ-  
ზადე: დაიწყო პანთურანიზმით და გაათავა ანატოლი-  
ზმით. იგი უარყოფს პირთვინებას, დემოკრატიას, თა-  
ვისუფლებას და გვეუბნება: არსებობს საზოგადოება  
და არა პირთვინება, არსებობს მოვალეობა და არა  
უფლებობა. ის ფიქრობს, რომ ყველა თურანელი, მათ  
შიცხვი უნგრები და ფინებიც, შეადგენს ერთს სა-  
ზოგადოებას, და არ არსებობს თურქთა ცალკე ერო-  
ვნებანი. მაგრამ შემდეგ თვითონვე შეეშინდა თა-  
ვის აზრის და ნელნელა უკან დაიხია: თავის გეგმი-  
დან ჯერ უნგრები და ფინები გამოიცილა, მერე თათ-  
რები; თურქისტანელები და მონღოლები, ჩამოვიდა  
«ოგუზიზმამდე» და ბოლოს ესეც უკუაგდო და ანა-  
ტოლიზმი მიიღო, კულტურული მთლიანობით და-  
კმაყოფილდა, და ამ მთლიანობაში მოათავსა ანატო-  
ლიელები (თურქეთი), ანერბეიჯანელები და თურქ-  
მენები...

«ზიანბეგს რომ ისე ესმოდას დემოკრატიული  
პრინციპი, როგორც ანერბეიჯანელებს, რომელთაც  
საფუძვლად დაიდევს ეს პრინციპი და რომელნიც  
იცავენ თურქთა ცალკე ერების დამოუკიდებლობას,  
მაშინ მისი იდეოლოგია არ დაიმსხვრეოდა».

მეჰმედ-ზადე უსაყვედურებს თურქეთის გაზე-  
თებს, რომ განზრახ თავს იბრძავენ და არ ხედავენ,  
თუ როგორ იღუპება დღეს რუსეთში ორმოცი მილი,  
თურქი; იმის გამბედაობა მაინც უნდა შეეწყვედოთ,  
ეუბნება მათ, რომ თქვენი უძლურება აღიაროთ.  
და ასე ათავებს წერილს: «ანერბეიჯანის დამოუ-  
კიდებლობას და კავკასიის კონფედერაციის ებრ-  
ძვიან ყოველი ჯურის რუსები და ისინი, რომლებიც  
თავის თავს თურქებს უწოდებენ და ეწინააღმდეგებიან  
ჩვენს ეროვნულს ბრძოლას, ესმარებიან ბოლშევი-  
კებს და მოქმედებენ მათ სასარგებლოდ. ანერბეიჯა-  
ნი იყო და იქნება როგორც ცალკე თავისუფალი,  
დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ეს მისი ისტორიუ-  
ლი, ნაციონალური უფლებებია. ეს ჩვენი ერის ნების-  
ყრფაა. და ყოველს ბრძოლას ანერბეიჯანის და კავ-  
კასიის კონფედერაციის წინააღმდეგ (რომელშიაც,  
კვლავ ვიმეორებთ, შედიან მხოლოდ საქართველო,  
ჩრდილო კავკასია და ანერბეიჯანი) ჩვენ მივიჩნევთ  
როგორც მუშაობას ბოლშევიკების სასარგებლოდ».

#### II.

«ბირლიკი» (გაერთიანება) თურქ სტუდენტთა ორ-  
განო: 1933 წ. 5 ოქტომბერი \*).

«ამ წერილის ავტორი არის დამოუკიდებელი ვი-  
სიძე გავლენის და ბრძანებისაგან და მიზნით აქვს და-  
სახული, უპასუხოს ვარშაგის და პარიზის მოსამსა-

\* ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს ამ წერილს, რო-  
მელიც საესვა ყოველად ყალბი ცნობებით, მაგრამ  
რომლის შინაარსი ყურადსადებია. რე დ.



ხურეს ქართველების ნოქარ-ბიუს, «პეტროგრადის» (ყავანანის სახელია სტამბოლში) დარაჯს და ერთ-გულ კავკასიელ მებრძოლს.

გახეთ «ისტოკლალის» (აზერბეიჯანელ ემიგრაციის ორგანოა, გამოდის ბერლინში) 41 ნომერში «ბოლშევიკებისათვის მომუშავენი» სათაურით დაბეჭდილია წერილი, სადაც თურქთა გაერთიანების მომხრეები გამოყვანილი არიან როგორც ბოლშევიკების აგენტები, ზოგჯერ კი მონათლულია კომუნისტად და თურქი ახალგაზრდა კი აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე.

ამ ცილისწამებათა ავტორს ჩვენ მოვავლებთ, რომ მან ჩაიდინა ან უსინდისობა ან კი გამოიჩინა სრული უფიცობა.

ჩვენ ვპირობთ, რომ მირზა-ბალას ასეთი წერილი შექმნის თურქთა შორის, იაკუტისტანიდან დელიორმანის (დელიორმანი ბულგარეთშია) ოსმალთა წინააღმდეგ არასასურველს შთაბეჭდილებას და შეარყევს გაერთიანების იდეას და ამიტომაც ვსწერთ ამ პასუხს, რათა გავფანტოთ ყოველგვარი გაუგებრობა.»

— შემდეგ წერილის ავტორი აბედინი გადადის ეროვნების გარკვევა გაშუქებაზე, ქადაგებს რასიზმს. მოჰყავს გერმანიის და ავსტრიის გაერთიანების გარშემო ატეხილი დავა მაგალითად და წინასწარმეტყველობს, რომ მიუხედავად სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგობისა გერმანია ავსტრიას შემოიერთებს. აღნიშნავს და აგინებს დოღფუსს, ადარებს მას მირზა-ბალას და ორთავს ერთად კი მეფისტოფელს და გამოდის ავსტრიის და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

შემდეგ განაგრძობს: «ოსმალეთშიც არიან ისეთნი, რომელნიც უარყოფენ ჩვენ ბრწყინვალე წარსულს და ოსმალეთის ისტორიას იწყებენ ლოზანიდან. მათი აზრით იდეალური სამშობლო მხოლოდ ის არის, რომლის საზღვრები დახაზა ლოზანის კონფერენციამ. მათი აზრით, არ არსებობს თურქთა ნაცია, არამედ არსებობს ანატოლიის ნაცია, რომლის შემადგენლობაში ებრაელებიც კი შეჰყავთ, რადგანაც ეკონომიურათ და გეოგრაფიულათ გადაკეანძული არიან. და მსგავსათ ჩვენი ანატოლისტებისა არსებობენ აგრეთვე ბატონი აზერბეიჯანლები, რომელთაც ჰგონიათ, რომ არსებობს განსაკუთრებული აზარის ნაცია-ერი, რომელიც თითქოს სინტეზი იყო ოსმალთა გმირობისა და სპარსეთის კულტურისა. ბატონო მირზა-ბალა; თქვენ ეყრდნობით რა პოლიტიკურ, ეკონომიურ და გეოგრაფიულ ფაქტორებს, განსაკუთრებული იმედი გაქვთ დოღფუსის პრინციპებისა და ასე ცდილობთ შექმნათ აზერბეიჯანის ნაცია. მაგრამ თქვენ სპარსეთის აზერბეიჯანის ნაცია. მაგრამ თქვენ სპარსეთის აზერბეიჯანის ნაცია რომ შემოიერთოთ და ექვს მილიონიანი აზერბეიჯანი აღადგინოთ, არსებობის შესანარჩუნებლათ უნდა იყოთ საბჭოთა კავშირში; როგორც ეს ჰქნა ნარიმან ბეგმა ან და აღადგინოთ ათაბეის პერიოდი (მე-11—12 საუკ.), და დაუწყოთ ომი ანატოლიის თურქებს აღმოსავლეთ ანატოლიის დასაპყრობათ ან და კიდევ, როგორც თქვენ ესლა შერებთ, მიჰყიდოთ თავი ქართველებს, რომელთაც არ აქვთ არც

პოლიტიკური და არც სამხედრო მნიშვნელობა».

ავტორი არკვევს თავის შეხედულებას თურქულ სხვადასხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის შესახებ. ის თანახმაა, აზერბეიჯანმა, თურქესტანმა ან სხვებმა არსებულ პირობებში დამოუკიდებლობა მოიპოვონ იმ პირობით, რომ შემდეგ, როცა შესაფერისი მომენტი დადგება, ოსმალეთთან გაერთიანდნ და შექმნან ერთი სახელმწიფო—თურქული სახელმწიფო.

ამრიგად ის მომხრეა დრეზბითი დამოუკიდებლობის და არა ისეთის, როგორც მირზა ბალას სურს—მუდმივი და მარადული. მომავალ გაერთიანებულ თურქთა სახელმწიფოში მხოლოდ თურქებს შეუძლიათ შესვლა. ფორმა წესწყობილებისა ცენტრალისტური იქნება თუ ფედერატული; მას არ აინტერესებს და პოლიტიკურ პარტიებს ურჩევს პროგრამაში ჩასაწერად.

მერმე განაგრძობს: «ჩვენ არა ვართ ფედერალიზმის წინააღმდეგი, არამედ ჩვენ კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგი ვართ, რადგანაც ჩვენის რწმენით ზიანს მოუტანს თურქ ხალხთა კულტურულ ერთიანობას.

ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად მძლავრი იქნება კავკასიის კონფედერაცია როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პარიზში ზის ოფიციალურად ცნობილი საქართველოს მთავრობა, რომლის სათავეშიც დგანან მენშევიკი სოციალდემოკრატები. მათი ლიდერი ქართველი ყორანია მეორე ინტერნაციონალის თანამშრომელია. განსხვავება ქართველ სტალინსა და ქართველ ყორანის შორის იმაში გამოიხატება, რომ მეორეს უნდა დამყაროს ლენინის სამოთხე არა რევოლიუციის, არამედ ევოლიუციის საშუალებით. ვლებულობთ რა მხედველობაში ყოველსავე ამას და განსაკუთრებით იმათ ოფიციალურ ორგანოს «ბრძოლის ხმას», სადაც სწერენ: «შეგებრობებით ყველა იმათ ვინც მოისურვებს საბჭოთა ხელისუფლების იარაღით ჩამოგდებას!»—ო, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თანამშრომლობა ასეთ ხალხთან უღრის თავისი ქვეყნის განწირვას.

გარდა ამისა თქვენ დამოუკიდებლობის დროს აზერბეიჯანის მთავრობის მიერ წამოყენებულ კავკასიის კონფედერაციის იდეას ქართველები უარყოფითი შეხედვენ, სომხები კი თანაგრძობით, თუმცა-ღა ზოგიერთი შესწორებებით. დღეს კი თქვენ თანამშრომლობით იმათთან, რომელნიც ხელს უწყობენ სომხების კატალიზს მთელი ქვეყნიდან, რომ გადასახლდნ ქავკასიაში და აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომლის ჩამოგლეჯას გვიპირებენ. და ესეც თქვენი დამოუკიდებლობის მსხვერპლად მიტანაა. თუ ჩვენ არ გეთანხმებით და გაკრიტიკებთ; მხოლოდ ზემოდ მოყვანილ მიზეზთა გამო. ჩვენ ოსმალეთის სტუდენტობას არ შეგვიძლია ვიყოთ წინააღმდეგი აზერბეიჯანის დამოუკიდებლობისა, რომელსაც ვარშავის, ვილნოს, პოზნანის და კრაკოვის სტუდენტებიც კი მხარს უჭერენ თურმე. მაგრამ ჩვენ არა ვართ მომხრე ისეთი დამოუკიდებლობისა როგორც თქვენ გსურთ. ესე იგი აზერბეიჯანის ერის (ნაციის) დამოუკიდებლობისა; ჩვენ მამხრენ ვართ იმ თურქთა



თავისუფლებისა, რომლებიც ცხოვრობენ ახერბი-  
ჯანის ტერიტორიაზე.»

შემდეგ ავტორი ლანძღავს და აგინებს მირზა ბა-  
ლას, უწოდებს მას ჯაშუშს, უსინდისოს, არამზადას,  
უვიცს, პოლიტიკურ პოლიციის აგენტს და სხვა.

ქვემოთ რედაქცია უკეთებს შემდეგ შენიშვნას:  
«გაზეთ «ისტორიკალ»-ში № 41 დაიბეჭდა მეტყვე-  
ლად მირზა ბალას დიდი წერილი «ბოლშევიკების-  
თვის მომუშავენი»-ის სათაურით. მირზა ბალა ამ წე-  
რილით უპასუხებს ჩვენ გაზეთ «ბირლიკ»-ის მეორე  
№-ში მოთავსებულ წერილს («თურქული მიწა წყალი  
თურქებს ეკუთვნის»), სადაც გაკრიტიკებული იყო  
კავკასიის კონფედერაცია, რომლის შემადგენლობა-  
ში შედიან ახერბაიჯანელ თურქთა გარდა ქართვე-  
ლები და დაშნაკები. ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია  
კონფედერაციის შექმნა თურქთა მიწა-წყალზე თურ-  
ქის ხალხის მტრებთან ერთად.

ამ ჩვენ შეხედულებებზე გაბრაზდა ბ. მირზა ბალა  
და კალმით შეიარაღდა.

მირზა-ბალას აზრით ჩვენი გაზეთი «ბირლიკ» იცემა  
ბოლშევიკებისათვის მომუშავე ხალხის მიერ. სა-  
ერთოდ მირზა-ბალას აზრით ოსმალეთში სხვა გაზე-  
თებიც გამოდის ბოლშევიკებისათვის მომუშავეთა  
წყალობით: «ადსიზ», «კადრო» და «პაკიმინიეთი მი-  
ლიიე»-კი. ურჩევთ ყველას წაიკითხონ მირზა ბალას  
წერილი სავსე უვიცობით, სისულელით და უსინი-  
დისობით.

**პირველი ძარბაველი პროფესორი  
ვარშავის უნივერსიტეტში**

მიმდინარე წლის 7 დეკემბერს ვარშავის უნივერ-  
სიტეტის დარბაზში გაიმართა პირველი საჯარო  
ლექცია ახლად მიწვეულ პროფ. მღვდ. გრ. ფერაძის,  
რომელსაც ამ დღიდან ფორმალურად ჩაბარდა უნი-  
ვერსიტეტის თეოლოგიური დარგის პატრონაჟის  
კათედრა.

ლექციას მსმენელ სტუდენტთა გარდა დაესწრენ  
განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, პო-  
ლონეთის ავტოკეფალურ (მართლად) ეკლესიის სა-  
ქეთმყრობელი მიტროპოლიტი დიონისე, ეპისკო-  
პოსი საბა, წარმომადგენლები სხვადასხვა ფაკულ-  
ტეტების, უკრაინელ მეცნიერთა და პოლიტიკურ  
წრეების წარმომადგენლობა, პოლონეთის საზოგა-  
დოება და ქართული კოლონია.

საჯარო ლექციას სიტყვა წაუძღვარა უნივერ-  
სიტეტის რექტორმა ბ-ნ პიენკოვსკიმ, რომელმაც  
მსმენელთ დასწვრილებით გააცნო ახლად მიწვეულ  
პროფესორის მღვდ. გრ. ფერაძის ბიოგრაფია და მი-  
სი სამეცნიერო შრომანი. თავისი სიტყვის დასას-  
რულ მიესალმა რა ჩვენს თანამემამულეს, უსურვა  
მას ნაყოფიერი მუშაობა მეცნიერების სასარგებ-  
ლოთ, რის შემდეგ კათედრა დაუცალა მღვდ. გრ.  
ფერაძეს. უკანასკნელმა მადლობა გადაუხადა რექ-  
ტორს და მისი სახით პოლონეთის მთავრობას და  
საზოგადოებას ასეთი ნდობის გამოაცხადებისთვის  
და გადავიდა ლექციაზე სათაურით: «ცნება, ამოცა-

ნები და მეთოდები პატრისტიკის მართმადიდებელ  
თეოლოგიაში.

უნდა აღვუხსნოთ, რომ პოლონური ენა ასე მო-  
კლე ხანში საკმაოდ შეუთვისებია მღვ. გრ. ფერაძეს.  
ეს შესავალი ლექცია დაიბეჭდება სამ ენაზე: პოლო-  
ნურათ, გერმანულათ და ქართულათ «ჯვარი ვანისა»-  
ში. საიდანაც მსურველს საშვალეა ექნება გაეცნოს  
მის შინაარსს. აქ მხოლოდ აღვუხსნავთ, რომ პატივ-  
პროფესორმა მსმენელთა განსაკუთრებული ყურად-  
ღება მიაქცია ქართულ საეკლესიო ლიტერატურის  
პატრონაჟიანზე და იმედოვნებს, რომ ვარშა-  
ვის უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტზე  
ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურის გვერდით  
სათანადო ადგილი დაეთმობა ქართულ საეკლესიო  
ლიტერატურას.

მღვდ. ფერაძის ლექციამ საუცხოვო შთაბეჭდი-  
ლება დასტოვა სტუმრებზე და ოფიც. პირებმა კო-  
ნითაც კი მიულოცეს მას გამარჯვება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე უნივერსიტე-  
ტში გაიხსნა ქართული ენის ლექტორატი, რომლის  
ლექტორათ მოწვეულ იქნა ბ. გ. ნაკაშიძე. უსურვოთ  
ამ ორ ქართველს, სახელოვანათ შეესრულებიონ  
თავიანთი მოვალეობანი როგორც პოლონეთის ისე  
ქართველი ერის წინაშე.

—რი.



რედაქცია დაბეჯითებით ხთხვავს აგენტებს  
და ხელის მძღვერთ, რომელთაც არ გადაუ-  
ხდიათ სვედრი ფული, აუცილებლად ორი  
კვირის განმავლობაში გაასწორენ ყდველი  
ანგარში და შემოიტანენ მათზე დარჩენი-  
ლი ვალი.



**თ უ რ კ მ თ ი ს ც ხ ო ვ რ ა მ ბ ა**

სტამბოლის გაზეთ «ხერგიუნში» ცნობილი თუ-  
რქი ჟურნალისტი ვალა ნურედ ბეი სწერს: «საბჭოე-  
ბმა ჩვენ გვაჩუქეს ზარბაზნები, თოფები და პაერო-  
პლანები. წარმოიდგინეთ, თუ რას ნიშნავს, როდესაც  
ერთი სახელმწიფო აჩუქებს მეორეს ზარბაზნებს,  
თოფებს და პაეროპლანებს. განა ეს არ ამტკიცებს  
გულითად მეგობრულ განწყობილებას და საუკეთე-  
სო სურვილებს? სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, რუ-  
სები ჩვენ ნდობით გვეპყრობიან, ამაში ისინი მარ-  
თალი არიან. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ  
შეგვიძლია მათ დახმარება აღმოუჩინოთ. ეს ყველა-  
ფერი ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ გვინდა ვიკითხოთ:  
რატომაა, რომ ჩვენი მეზობელი, საბჭოთა რუსეთი  
გვიმტკიცებს თავის მეგობრობას ისეთი მატერია-  
ლური ძღვენით. როგორიცაა ზარბაზნები, თოფები  
და პაეროპლანები. ხოლო არაფერ ამის მზგავს არ  
შვრება კულტურულ სფეროში?»

1. მეფის რუსეთი ნებას რთავდა და უშვებდა თავის ტერიტორიაზე ჩვენს გამოცემებს—გაზეთებს, წიგნებს. ესლა ეს აკრძალულია; ერთი და იმავე ნაციის ორ შტოთა შორის ორმოცა გათხრილი (ავტორი აქ ჰგულისხმობს რუსეთში მოსახლე თურქებს—თათრებს).

2. წინეთ ყველა თურქი კითხულობდა ერთ და იმავე ნაწერს, ე. ი. სარგებლობდნ ერთ და იმავე ალფაბეტს. ესლა კი თითველ მოდგამს მიცემული აქვს განსაკუთრებული ალფაბეტი. კეთდება ყველაფერი არა კულტურულ გასაერთიანებლად, არამედ დასანაწილებლად და დასაშორებლად.

ჩვენ ძლიერ მადლობელი ვართ ვაზრობილთვის ხარბაზნების, თოფების და ჰაეროვანების, მაგრამ ყველა ამათხე უფრო მნიშვნელოვანია კულტურული დაახლოება, გაერთიანება ესლა დაქსაქსულ თურქული ქვეყნისა. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ბევრჯერ, ბევრჯერ უფრო მნიშვნელოვანია!»

— ამ რამდენიმე წლის წინად ბლოშევიკებმა დაატუსაღეს ბათუმიდან ხოფაში მიმავალი გემი, რომელიც თურქებს ეკუთვნოდა და რომელსაც თითქოს კონტრაბანდა მიჰქონდა. მესაკუთრებმა აჯარის ტრიბუნალში იჩივეს, რომელსაც მათ გემის დაბრუნება მიუხაჯა. ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ ეს დადგენილება არ შეასრულა. მაშინ პატრონებმა თავის მთავრობას მიმართეს თურქეთში და ხარალის ანაზღაურება მოითხოვეს. სახელმწიფო საბჭომ უარი უთხრა, საჩივრის ვადა გასული არისო. მესაკუთრებმა პარლამენტს მიმართეს, რომლის საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა, რომ საბჭოთა ქვეშევრდომთა ქონების რეკვიზიციით ყოფილიყო დაკმაყოფილებული გემის პატრონები. როცა საქმე პარლამენტს (დიდს ეროვნულ კრებულს) მოხსენდა, მთავრობა კომისიის ვადაწყვეტილებას წინააღმდეგა. გაიმართა ცხარე კამათი—ხოგი დეპუტატი მხარს უჭერდა კომისიას, ზოგი ამბობდა, პარლამენტს არ აქვს უფლება სახელმწიფო საბჭოს განაჩენი შეცვალოსო. ბოლოს საკითხი იურიდიულ კომისიას გადაეცა და ჯერაც დამთავრებული არაა.

— თურქეთის მთავრობამ შეიძულება ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის განსავითარებლად. განზრახულია დაარსება მეტალურგიის, საქსოვი, ქაღალდის, ქიმიური და სხვა ქარხნების. ამისთვის გახსნილია 25 მილ. თურქული ლირის კრედიტი. ამავე საქმისთვის საბჭოთა მთავრობა სესხად აძლევს თურქეთს 10 მილიონ დოლარს.

— ანკარას, იზმირის, სტამბოლის და სხვა ადგილების ებრაელებმა დაადგინეს, რომ საყოველთაო პროპაგანდა გასწიონ, რათა თურქეთის ებრაელებმა დედა ენად გაიხადონ თურქული და სავსებით შეითვისონ თურქული კულტურა. ამის გამო თურ. გაზეთი «ფაიკი» სწერს: ჩვენ კმაყოფილებით მივსალმებით ამ ინიციატივას. რესპუბლიკურმა რეჟიმმა სრულიად გაყო სასულიერო და საერო საქმე. ჩვენი კონსტიტუციის ძალით, სარწმუნოებრივი უმცირესობანი, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, არიან თურქები. როგორი სარწმუნოების არ უნდა იყვნენ ეს უმცირესობანი, ისინი შეადგენენ თურქ

ერთეულის ნაწილს, ხოლო იმ პირობით, რომ შეითვისონ თურქული ენა და შეისისხლხორცონ ჩვენი კულტურა. ამას უნდა დაეძინოთ, რომ უკანასკნელი მცენიერული გამოკვლევებით ებრაელები არ წარმადადებენ თურქეთში სრულებით ეთნიურ უმცირესობას».

— როგორც ცნობილია საყოველთაოდ, თურქებს გვარები არა აქვთ. მოკლე დროში გამოქვეყნებული იქნება კანონი, რომლის ძალით ერთი წლის შემდეგ ყოველმა თურქმა აუცილებლად უნდა აირჩიოს თავისი გვარი, რომელიც არ უნდა იყოს ნასესხები უცხო სიტყვებიდან.

— თურქული გაზეთები აღნიშნავენ, რომ სტამბოლი თანდათან ეცემა, ღარიბდება, წარმოება და ვაჭრობა შემცირებულია, სახლებს არავენი ჰქირაობს, მშვენიერი შენობები ინგრევა და არავენი ფიქრობს მათ შეკეთებას.

— თურქეთის მთავრობა ძალიან ცთილობს ბოლო დროს ბალკანეთის სახელმწიფოებთან დაახლოებას და უმეტესობასთან თავდაუსხმელობის პაქტები შეკრა. ხოლო აქამდის ვერ შესძლო შეთანხმება ბულგარეთთან, რომელიც უკმაყოფილოა აწინდელი სახლებებით. ამის გამო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტეფიკ რუშუქ ბეიმ განაცხადა: «ჩვენ თურქები ანტირევინიონისტები ვართ. ჩვენ არაფერს მოვიტხოვთ და არც ვისმე დავუთმობთ რასმე. გვინდა მშვიდობიანად და თავისუფლად განვითარდეთ და არ გვქონდეს შიში რაიმე ხიფათისა ჩვენი ტერიტორიის საზღვრებში. ჩვენ მოვიტხოვთ დაქინებით აბსოლუტურ მშვიდობიანობას ბალკანეთში. ვფიქრობთ რომ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დანება ამას ემსახურება».

— სტამბოლში დაიწვა სასამართლოს დიდი სასახლე, აია-სოფიას მახლობლად. დაიღუპა თითქმის მთელი საქმის წარმოება. ხარალი ას მილიონს აღემატება.

— მომავალ იანვრიდან თურქეთში შემოღებული იქნება წონისათვის კილოგრამული გირები.

— თურქული გაზეთების სიტყვით, თურქეთში 17 მილ. ნახევარი მცხოვრები უნდა იყოს.

### ს ქ ა რ ს ე თ ი

სტამბოლზე გაიარა ამას წინად სპარსეთის დიპლომატმა ენაიეთულაჰ-ხანმა, ყოფილმა ელჩმა ბერლინსა და ჰაგაში. მას ესაუბრა თურქულ გაზეთის «ახშამის» თანამშრომელი და საინტერესო ცნობები მიიღო დღევანდელ სპარსეთის ვითარებაზე. ენაიეთულაჰ-ხანი ახალი სპარსეთის ერთი საუკეთესო მოღვაწეთაგანია, რამდენჯერმე იყო შინაგან და განათლების მინისტრების ამხანაგად და სამინისტროს თავმჯდომარის მდივანად.

როგორც ყოფილი ელჩი ბერლინში, ის ყოველის უწინ შეეხო სპარსეთ-გერმანიის ურთიერთობას. საჭირო მანქანები ახალგაზდა სპარსულ ინდუსტრიისთვის, სთქვა: უმთავრესად გერმანიიდან მოგვდისო. გერმანიას გააქვს სპარსეთიდან ტყავეულობა, ხმელი

ხილი, ხალიჩები, ბამბა და მატყლი ასამდე სპარსე-  
ლი სტუდენტი ხაზინის ხარჯზე სწავლობს გერმანიის  
უნივერსიტეტების სხვადასხვა ფაკულტეტზე. სპარ-  
სეთს უნდა შეორე უმადლესი საექიმო სასწავლებელ-  
ლი განსნას აღმოსავლეთ პროვინციაში და ამისთვის  
იწვევს გერმანელ პროფესორებს. თეირანის სამედი-  
კალ სასწავლებელში კი სწავლება აბარიათ ფრანგ  
პროფესორებს, საზოგადოთ ფრანგული ენა სპარსე-  
თში ყველა უცხო ენაზე უფრო გავრცელებულია,  
გარდა რუსულისა, რომელიც დიდ ხმარებაშია რუ-  
სეთის მოსახლდრე პროვინციებში. სპარსეთის მთავ-  
რობა ყოველ წელიწადს აგზავნის ევროპაში ორასა-  
მდე ახალგაზდას უმადლეს განათლების მისაღებად.  
მეტი წილი არჩევს საფრანგეთს. სულ ევროპის სხვა  
და სხვა უნივერსიტეტებში იქნება ორი ათასი სპარ-  
სელი სტუდენტი. თვითონ სპარსეთში პირველ და  
მეორე ხარისხის სასწავლებლებში სწავლა უფასოა,  
მაგრამ სავალდებულო არაა. ქალები უფრო მეტს  
ბეჯითობას იჩენენ, ვიდრე ვაჟები, და მთავრობა  
იძულებულია გამარავლოს საქალაკო სკოლები...

სპარსეთის მრეწველობას დღემდის ხალიჩების  
დამზადება შეადგენდა მხოლოდ, ახლა კი უკვე მოწ-  
ყობილია ორი დიდი შაქრის ქარხანა და ხუთიც ორ  
წელში გაიხსნება. გამართულია მათდის, ჩითულის  
და ფეხსაცმელების ფაბრიკები შენდება საავტომო-  
ბილო და რკინის გზები. მათი საშუალებით სპარსე-  
თის ცენტრი დაუკავშირდება როგორც სამხრეთის  
ისე ჩრდილოეთის პორტებს. ერთი დიდი საავტო-  
მობილო გზა, რომელიც სულ მალე დამთავრდება,  
გაივლის სპარსეთის დიდ ნაწილზე, მერე ირაკით აღ-  
წევს აღექსანდრეტამდე სირიაში და ამ გზას უდი-  
დესი მნიშვნელობა ექნება სპარსეთის ვაჭრობისათ-  
ვის. სპარსეთის ბიუჯეტი საქმაოდ მკვიდრია და ის  
ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელსაც უცხოეთის  
ვალი არ აქვს.

### თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ი

თურქესტანის განმათავისუფლებელ მოძრაობის  
ორგანო «იამ თურქესტან» შემდეგნაირად ავციწერს  
თურქესტანში ეროვნულ მოძრაობის ეპიზოდებს:

ეროვნული ბრძოლა იპურებს თურქესტანის  
მკვიდრთა ყველა კლასებს და წრეებს. ბრძოლა სწა-  
რმეებს რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკის  
წინააღმდეგ, რომელსაც მოსკოვი დაქინებით ატარებს.  
მართალია კომისრებათ და ზოგიერთ მნიშვნელოვან  
დაწესებულებათა სათავეში დგანან ადგილობრივი  
კომუნისტები, მაგრამ მთელი აპარატი უბრალო და-  
რჯამდე გატენილია რუსებით. ეს გარემოება ხელ-  
მძღვენელ მკვიდრ კომუნისტს ხლის სათამაშო  
ტიკინათ მოსკოვის და მისი აგენტების ხელში. ამი-  
ტომა თურქესტანელი კომუნისტები ხშირად ხალ-  
ხის მხარეზე აღმოჩნდებიან ხალმე და მასთან ერთად  
იზიარებენ მოსკოვის რისხვას.

საბჭოთა ხელისუფლება ბრძოლას აწარმოებს  
ეროვნულ მოძრაობის წინააღმდეგ ორი მიმართულე-  
ბით: ერთია პარტიული აპარატი და მეორე გეპუე-

მაგრამ მიუხედავად ამ ბრძოლის სისასტიკისა, მოს-  
კოვს არ შეუძლია დაიტრახოს ბრწყინვალე მილ-  
წევები. ერთ ადგილზე ჩაქრობილი მოძრაობა თავს  
იჩენს მეორე ალაგას და ხშირად ნამდვილ აჯანყების  
ხასიათს იღებს. ამის მაგალითებია ნაციონალური  
ლოზუნგებით გამოსვლა ისეთი კომუნისტების, რო-  
გორც არიან სადვაქარ ოლლი, სულტან ბეკი, ინამ-  
ოლლი რაქიმი, მანახა, ბატუ და სხვები. სწორედ მა-  
შინ, როდესაც ბოლშევიკები ზემოზოდენ თურქესტა-  
ნის ნაციონალისტებზე გამარჯვებას—თავი წამოყო  
ნაციონალურმა გადახრებმა შუა-აზიის გოსპლანში.  
გოსპლანის თავმჯდომარეები—ჯამალი და სადიკ-  
ოლლი გამოვიდენ საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ  
თურქესტანში. ცხადია აღნიშნული პირები ვერ გა-  
ბედავდენ ასეთ გამოსვლას, რომ მათ ზურგს უკან  
არ იდგეს მთელი თურქესტანის სიმპატიები ამ  
ბრძოლაში.

მეტის-მეტად გამწვავებულია მდგომარეობა  
მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსულ რუსებს შორის.  
ხშირად ეს გამწვავება ხელჩართულ შეტაკებამდისაც  
მიდის ადგილობრივ და რუს მუშათა შორის.

კიდევ უფრო გამწვავებულია მდგომარეობა მო-  
სწავლე ახალგაზდობაში. თურქესტანელი მოწაფენი,  
განსაკუთრებით სტუდენტობა, მეტის მეტად დაპირ-  
დაპირდაპირებული არიან რუს მოსწავლე ახალგაზ-  
დობისწინააღმდეგ. ამ უკანასკნელში მოსწავლე თურ-  
ქესტანელი ხედავენ ბუნებრივ მტერს, რომლებიც  
«ინტერნაციონალიზმის და სოციალიზმის» დროშას  
ამოფარებულნი წარმოადგენენ მომავალ მართველთ  
და რუსული პოლიტიკის გამტარებელთ თურქე-  
სტანში. ამიტომ მოსწავლე ახალგაზდობა სკოლის  
სკამიდან ეჩვევა იმ აზრს, რომ მუდამ მტრულად  
უნდა იყოს განწყობილი გადამთიელ მოძალადეთა  
წინააღმდეგ.

«იამ თურქესტანის» იგივე ნომერი თავის მოწი-  
ნავეში ასწერს თურქესტანის მოსახლეობის საშინელ  
ეკონომიურ მდგომარეობას, ათასობით მცხოვრებთა  
შიმშილით სიკვდილს და ამბობს: «ჩვენ არ ვიცით  
რამდენია რუსეთში, რუმინელი, ესტონელი, რომე-  
ლნიც განიცდიან შიმშილს და შვეიწროებას. მაგრამ  
მათ კპოვეს ძლიერი და თბილი გამოხმაურება თავის  
მომმეთათვის რუსეთის სახლვების გარეთ, ხოლო  
დამშეულ რუსეთის ფარგლებში იმყოფება 30 მილი-  
ონი მუსულმანობა. რომელთა შორის 16 მილიონი  
თურქესტანელი განიცდის ჯერ არ გაგონილს მიშ-  
შილს და აწიოკებას. მაგრამ გაგიგონიათ სადმე, მსო-  
ფლიოს რომელსაღე კუთხეში, ამ 30 მილიონისთვის  
თანაგრძობის ხმა? გამოჩნდა განა თუ გინდ ერთი  
მუსულმანური სახელმწიფო, რომელსაც ეფიქრა ამ  
ტრაგედიის მსოფლიოს ყურამდე მიწვდენა? განა ნა-  
ხეთ სადმე დაწერილი დუგინდ ერთი სტრიქონი ამ  
საშინელ უბედურების შესახებ?

აი სად არის ჩვენი ტრაგედია».



ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ო ს ა გ ხ ე ბ ი

დღეს დასრულდაო, იტყობინება ვენიღვან 17 დეკ. დეპეშა, რუსეთში სიმშვილობის მსხვერპლთა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის კრება. კომიტეტი მოწოდებით მიჰმართავს მთელს ქვეყნიერებას, უშველეთ დამშვეულთა მილიონებს, უშველეთ ჩქარა და უხვად, თორემ ახალ მასებს ელის სიკვდილიო.

სიმშვილია და ისეთი, რომ მასები დახმავდნენ კიდევ და, თუ სწრაფმა და უხვმა შველამ ვერ მიუწერო, ახლა მასები გაწყდებიან სიმშვილით...

ამასობაში საქართველოს სამს რაიონში (სტალინისი, გორი და კასპი) ჭარხალით დათესილი 3825 ჰექტარზე, სადაც განზრახული იყო 270.000 ცენტნერ ჭარხალის ამოღება, ამოღებულ იქნა, როგორც იტყობინება «კომუნ.» № 243, მხოლოდ 2772 ცენტნერი, ე. ი. განზრახულის 1%.

ასეთ სიმშვილობის დროს ჭირნახულის ყოველ მისხალს ოქროს ფასი უნდა ედოს, მაგრამ რას დაგიდევთ ბოლშევიკური ხელისუფლება ხალხის უბედურებას. ხალხი თუნდ მთლად გამწყდარა, კოლხობების პრინციპს არა ევენს... და ის საცოდავი 2772 ცენტნერი ამოღებული ჭარხალი სადგურ სკრაზე «აგერ ათი დღეა (ნუ დაივიწყებთ «ოქტომბრის მიწურული») ცის ქვეშ ყრია და ლბება.

დღემიწის ზურგზე არ მოიპოვება, გვონებთ, სოფელი, კოლხობი იწამოს, და ჩვენს გლეხს ხომ სულ არ უდგება და სულ.

გაგიგონიათ როდისმე იმ დროს, როდესაც ყოველნიარად შევიწროვებული და გაჭირვებული ჩვენებური გლეხი ერთრამეში მაინც იყო თავისთავის უფალი და ბატონი,—თავის პატარა ყანის და ნამცეცა ბალის თავის ნებაზე მოთესვა აღებაში, გაგიგონიათ ან ყანა დარჩენოდეს მაშინ გლეხს მოუხნავ დაუთესავი, ან ბაღი მოუვლელი, ან კიდევ მოსავალი დროზე აუღებელი, ანა და მომკილი ან მოკრეფილი ჭირნახული შეუნახავი, ზემოხსენებულ ჭარხალისა არ იყოს, წვიმისა და ქარისათვის დატოვებული და ჰლობა-გასანიაველად?

კავკასიაში კი საშემოდგომო თესვის კამპანია ჩაშლილა: ამიერ კავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს («კომუნ.» № 252), რომ სომხეთში შესრულებულ იქნა 58.7 პროც. თესვის გეგმისა, ანერბენიჯანში—43.6 პროც. და საქართველოში 36 პროცენტით მხოლოდ.

ეს თესვა. არც მოსავლის აღების საქმე არის უკეთეს მდგომარეობაში. «15 ნოემბრის ცნობებით ბამბის აღების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო მხოლოდ 25 პროც... ეს მაშინ, როდესაც ნოემბრის პირველი დეკადა ბამბის აღების უკანასკნელი ვადა საქართველოში».

ასეთია კოლხობურ მეურნეობის «საიმედო» შედეგები და მიღწევანი, და ვის გაუგონია შუა გზაზე გაჩერება. კოლექტივიზაცია, კოლექტივიზაცია ბოლომდე; განსახოვადობრივებულ უნდა იქნას ყველაფერი...

«მთელს საქართველოში განსახოვადობებულ პირუტყვთა რიცხვი შემდეგია: ძროხა—32.275; ღორი 22.277 და 230.060 ცხვარი. ამ საქონლის შესანახად საჭირო საკვებს აკლია 96.000 ტონა, რაც აღნიშნულ პირუტყვთ განადგურებას უდრის. ამასთან არც სახამთრო ბინები ყოფილა მოწყობილი, და არც იმედია, რომ აწი მოეწყობა» («კომ.» № 271).

ცალკე ხალხი წყდება, ცალკე საქონელი, «გამარჯვებულთა» კოლექტივიზაცია და კოლხობი!

ოღონდ, როდემდის?

როდემდის გასტანს ხალხის ეს დამჩაგვრელი, დამამცირებელი და გამაშუბედურებელი «სისტემა»? მისი მატება რიცკი, ფრანგი მწერალი ყოჩა უდარი, ამბობს:

«მის მეტს, რასაც თვითონ გაჩვენებენ, ვერას ნახავო. მაგრამ ეს სრულებით კმარა. მე დაეთვალეთე მოსკოვში ერთი «საქმელების ქარხანა» (სასადილო). მშენებელი სამხარეული იყო.

- რამდენ კერძს ამზადებთ დღეში-თქო, ვიკითხე.
- შვიდ ათას.
- და რამდენია ასეთი სამხარეული მოსკოვში?
- ოთხი.
- და მცხოვრები რამდენია?
- ორი მილიონი რვაასი ათასი.

უბრალო გამრავლებისა და გაყოფის საშუალებით იმწამსვე გამოვიანგარიშე, რამდენ მშვიერზე მოდის მოსკოვში ერთი მაძლარიო, აბოლოვებს უდარი. ასზე ერთი, მკითხველო, თუ ანგარიში გეზარება. და ამიტომაც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში:

- ... ტყიბულის პროდუქტია ეცემა («კომ.» № 251).
- ... რომ რკინის ზხამ 50 ვაგონის მაგიერ მალარტებს მიაწოდა 22 ოქტომბერს—26 ვაგონი და 1 ნოემბერს იმავე 50 მაგიერ აღარც ერთი (ibid).
- ... რომ მუშებმა ბრძოლის ახალ ფორმად დემოილეს გაცდენები («კომ.» № 256).
- ... და იტალიური გაფიცვა («კომ.» № 265).

უ კ რ ა ი ნ ი ლ თ ა შ ო რ ი ს

ბოლშევიკური განხეთები მრავალ წერილს უძღვნინან ეროვნულ მოძრაობას უკრაინაში და ამბობენ, რომ ეს უდიდესი საფრთხეა საბჭოთა კავშირისთვის, რომ უუკრაინოთ ბოლშევიზმი ვერ იარსებებს. განხეთები აღნიშნავენ იმასაც, რომ თუმცა უკრაინის კომპარტია კარგად გაიწმინდა და 120 ათასი წევრი იქნა გამორიცხული, მაინც ნაციონალისტური ბუნდე არაა მოსპობილიო.

— ინგლისურ «დეილ მეილ»-ში ლორდ როტერმირი ამტკიცებს, რომ მშვიდობიანობის დასაცავად ერთად ერთი საშუალებაა რუსეთის დანაწილება. ამით შეიძლება გერმანიის დაკმაყოფილება «გავლენის სფეროს» დათმობით, პოლონეთის უზრუნველყოფა რუსეთის საფრთხისაგან და რუსეთში მომწყვდეულ ერებსაც შეძლება მიეცემათ დაუახლოვდენ დასავლეთის კულტურას.

— მანჯუკოს მთავრობამ ხარბინის უკრაინელებს დაუბრუნა სახლი, რომელიც მათ ორი წლის წინად ჩილელებმა ჩამოართვეს.

„ღამ. სამ.“ სარჩივი 1932 წლისთვის


I. მეთაურები:

საბჭოთა კავშირის მეათე წლის თავი 85. თავდაუსხმელობის პაქტი 86. ლიკვიდაციის წინ 87. სტალინის დიპლომატია 88. დემოკრატია თუ დიქტატურა 89. პაქტი და საქართველო 90. აღარ არის საელჩო 91. გლეხები იხსნიან 92. მათრახი და ტკბილის კვერი 93. კავკასიის პერსპექტივები 94. მოსკოვი და ვაშინგტონი 95. ეროვნული მოძრაობა საბჭოთა კავშირში 96.

II. წერილები:

- ალფა. ოცნება და სინამდვილე 85. საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან 86, 87, 89, 91, 92, 93, 95.
- ასათიანი ალ. მეტი გონიერება და ნაკლები გრძობიერება 88. ქართული იდეა 89. აგვისტოს აჯანყება 92. ქართული უკლონიზმი 94.
- გელა-გელაზანია ბ. ისტორიული სინამდვილის სახეები 93.
- გუმაგი. არსენა მარაბდელი 95.
- გენა. აფხაზეთი 86-92.
- ზ-ლი ი. ეროვნული მოძრაობა მაკმადიანთა შორის 85-86. გაზეთი საბჭოთა საქარ. 96.
- ინგილა. მაინც ბრუნავს 85. აღდგომა 89. ბუნებისათვის ბრძოლისა 92. თავისუფლების თავდადება 96.
- კაჟი. რუსეთის რევოლუცია და ნაციონალური საკითხი 85. უფლება აყრილი ერი 89. მცირე შენიშვნა 92. მომავლის პერსპექტივები 94.
- კომანდო. 1924 წელი 92. საქართველოს საელჩო 93.
- ლიპინსკი ვაც. პოლონეთის გამათავისუფებ. ბრძოლის ისტორიიდან 86-7.
- მუსხელიშვილი მ. საკონფედერაციო ხელისუფლების ორგანო 85. საკონფედერაციო სასამართლო 88. ვადასინჯვის საკითხი 89. კავკასიის პაქტი. დასკვნა 90.
- მ-ლი ს. 25 თებერვალი 86. ჩვენი კარლო 10.
- მონალიხე. ყურნალი მხედარი 88.
- ქვრდანიან ნ. 26 მაისი 89.
- ქვრცილიანი ან. მაინც ბრუნავს 92.
- ხან-მანი. კავკასიის პრობლემა 96.
- ჟ. მ. რა გზით? 90, 91. რუხველტის ექსპერიმენტი 93.
- ფინცხალვა ს. ისტორიული ამბები 89. კავკასიელთა ერთმანეთთან დაახლოება 93. ერების ურთიერთობა საქართველოში 95.
- შავიშვილი ს. ინტერნაციონალური მდგომარეობა ერთა ლიგაში 95.

- III. საქართველოს საკითხის გარშემო: საქარ. საკითხის გარშემო 87. ქება ს. ს. რ. კავშირს 88. მოწოდება ქართ. საზოგ. ერთა ლიგისთვის 88. გეპრატის მოხსენება 89. საფრანგეთ რუსეთის პაქტი და საქართველო 90. ერთა ლიგის დამხმარე ასოც. საერთაშ. კავშირის კონგრესი 90. მეტი სიფრთხილე და მეტი წინდახედულება 91. ჩვენი დიდი მეგობრის იუბილე 91.
- IV. კავკასია: კავკასიელთა შორის 85. მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე 87. ჩრდილო კავკასიელთა შორის 87. საქარ. დამოუკიდებლობა და კავკ. ერთობა 91. კავკ. დამ. კომიტეტის მოწოდება 91. ადერბეიჯანელთა შორის 92. პრომეთეს საზოგადოება 93. კავკასიის ამბები 95, 96. თურქეთი და კავკასია 35, 96. თურქესტანი 96.
- V. კორესპონდენციები: გერმანიიდან 86, 87. ამერიკიდან 87, 88, 90, 92, 95. პრაიდან 89. საქართველოდან 91. პოლონეთიდან 94.
- VI. ქართველები უცხოეთში: ხარბინის ქართველობა 86, 87, 94. პარიზის ქართ. კალ. 87. ქართ. ბალი 87. საერთაშორისო კავშირი ქარსექცია 88. საქარ. ეკლესია 88. პარიზის კალონიაში 89. ა. მდივნის დაქორწინება 90. 26 მაისი პრადაში 90. პარიზში 90. ქ. ჩოლოყაშვილის ხსოვნას 90. ქართვ. საზ. ერთა ლიგისთვის 90. ფრანგ. კავკას. სტამბა 90. ერთა ლიგის ქართ. სექცია 91. პარიზის ქართველობა 92. ქართველობა პრადაში 94. პარიზის კოლონ. 95. პირველი ქართ. პროფესორი ვარშავის უნივ. 96.
- VII. საქართველოს ამბები: 85, 86, 87, 89 და 94.
- VIII. უცხოეთის მიმოხილვა: 92, 93 და 95. თურქეთის ცხოვრება 95-96. სპარსეთი 96.
- IX. რას სწერენ ბოლშევიკებზე: 87.
- X. ნეკროლოგი. აკ. წერეთლის მეუღლის გარდაცვალება 87. პ. გამყრელიძე 91. ლ. სიხარულიძე 92. ნ. ნასიძე 93. ნ. ჭუმბურიძე 95.
- XI. სხვადასხვა: წერილები რედაქციის მიმართ 85, 86, 87, 88, 89, 90, 93. ბიბლიოგრაფია 86, 88, 94. ვეფხის ტყაოსანი რუსულად 86. სიბრძნესიტრუე გერმანულად 86. საქართველოს ისტორია ინგლისურად 87. უკრაინელთა შორის 87, 93, 95, 96. საქ. ს. დემ. პარტიის 40 წელი 88. სოც. ინტერნაც. კონფერენცია 93. პოლონეთის პრესიდან 91. როსტომელა ჩეხურად 95.



გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :  
ერთი წლით 20 ფრანკი.  
ნახევარი წლით 10 ფრანკი.  
ერთი ნომერი 2 ფრანკი.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:  
M-r O U R A T A D Z E  
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)  
France